- *Direction du droit international public (DDIP)*
- *Direction du développement et de la coopération (DDC)*
- *Direction des ressources (DR)*
- *Direction consulaire (DC)*

- გენერალური სამდივნო (GS-FDFA)
- სახელმწიფო სამდივნო (STS)
- პოლიტიკურ საკითხთა დირექტორატი (DP)
- ევროპის საკითხთა დირექტორატი (DEA)
- საერთაშორისო საჯარო სამართლის დირექტორატი (DIL)
- შვეიცარიის თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (SDC)
- კორპორაციის რესურსების დირექტორატი (DCR)
- საკონსულო საკითხთა დირექტორატი (CD)

3. *Département fédéral de l'intérieur* (DFI):

- - *Secrétariat général (SG-DFI)*
- *Bureau fédéral de l'égalité entre femmes et hommes (BFEG)*
- *Office fédéral de la culture (OFC)*
- *Archives fédérales suisses (AFS)*
- *Office fédéral de météorologie et de climatologie (MétéoSuisse)*
- *Office fédéral de la santé publique (OFSP)*
- *Office fédéral de la statistique (OFS)*
- *Office fédéral des assurances sociales (OFAS)*
- *Office fédéral de la sécurité alimentaire et des affaires vétérinaires OSAV*
- *Musée national suisse (MNS)*
- *Pro Helvetia*
- *Swissmedic, Institut suisse des produits thérapeutiques*

3. შინაგან საქმეთა ფედერალური დეპარტამენტი (FDHA):

- გენერალური სამდივნო (GS-FDHA)
- გენდერული თანასწორობის ფედერალური სამსახური (FOGE)
- კულტურის ფედერალური სამსახური (FOC)
- შვეიცარიის ფედერალური არქივი (SFA)
- მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის ფედერალური სამსახური (MeteoSwiss)
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფედერალური სამსახური (FOPH)
- სტატისტიკის ფედერალური სამსახური (FSO)
- სოციალური დაზღვევის ფედერალური სამსახური (FSIO)
- სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის ფედერალური სამსახური (FSVO)
- შვეიცარიის ეროვნული მუზეუმი (SNM)
- პრო ჰელვეტია
- სვისმედიქ, თერაპევტული პროდუქციის შვეიცარიის სააგენტო

4. *Département fédéral de la justice et police (DFJP):* 4. იუსტიციისა და პოლიციის ფედერალური დეპარტამენტი (FDJP):
- *Secrétariat général (SG-DFJP)*
 - *Office fédéral de la justice (OFJ)*
 - *Office fédéral de la police (fedpol)*
 - *Office fédéral des migrations (ODM)*
 - *Institut fédéral de métrologie (METAS)*
 - *Service Surveillance de la correspondance par poste et télécommunication (SCPT)*
 - *Commission nationale de prévention de la torture*
 - *Institut suisse de droit comparé (ISDC)*
 - *Institut Fédéral de la Propriété Intellectuelle (IPI)*
 - *Autorité fédérale de surveillance en matière de révision (ASR)*
- გენერალური სამდივნო (GS-FDJP)
 - იუსტიციის ფედერალური სამსახური (FOJ)
 - პოლიციის ფედერალური სამსახური (fedpol)
 - მიგრაციის საკითხთა ფედერალური სამსახური (FOM)
 - მეტროლოგიის ფედერალური ინსტიტუტი (METAS)
 - ფოსტისა და კავშიგაბმულობის ზედამხედველობის სამსახური
 - წამების პრევენციის ეროვნული კომისია
 - შვეიცარიის შედარებითი სამართლის ინსტიტუტი (SICL)
 - ინტელექტუალური საკუთრების ფედერალური ინსტიტუტი (IIP)
 - აუდიტორული ზედამხედველობის ფედერალური ორგანო (FAOA)

5. *Département fédéral de la défense, de la protection de la population et des sports (DDPS)*
- *Secrétariat général (SG-DDPS)*
 - *Service de renseignement de la Confédération (SRC)*
 - *Office de l'auditeur en chef (OAC)*
 - *Groupement Défense*
 - (a) *Etat-major de l'armée (EM A)*
 - (b) *Etat-major de conduite de l'armée (EM cond A)*
 - (c) *Formation supérieure des cadres de l'armée (FSCA)*
 - (d) *Forces terrestres (FT)*
 - (e) *Forces aériennes (FA)*
 - (f) *Base logistique de l'armée (BLA)*
 - (g) *Base d'aide au commandement (BAC)*
 - *Groupement armasuisse (ar)*
 - (a) *Office fédéral pour l'acquisition d'armement*
 - (b) *Office fédéral de topographie (swisstopo)*
 - *Office fédéral de la protection de la population (OFPP)*
 - *Office fédéral du sport (OFSP)*
5. თავდაცვის, სამოქალაქო დაცვისა და სპორტის ფედერალური დეპარტამენტი (DDPS)
- გენერალური სამდივნო (GS-DDPS)
 - დაზვერვის ფედერალური სამსახური (FIS)
 - შეიარაღებული ძალების გენერალური პროკურატურა (OAFAG)
 - თავდაცვის სექტორი
 - (a) შეიარაღებული ძალების შტაბი (AFS)
 - (b) შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი (AFJS)
 - (c) შეიარაღებული ძალების კოლეჯი (AFC)
 - (d) სახმელეთო ძალები (LF)
 - (e) საჰაერო ძალები (SAF)
 - (f) შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამსახური (AFLO)
 - (g) შეიარაღებული ძალების სარდლობის მხარდაჭერის სამსახური (AFCSO)
 - აღმასუსის გლუპ (ar)
 - (a) სამხედრო შესყიდვების ფედერალური სამსახური
 - (b) ტოპოგრაფიის ფედერალური სამსახური (swisstopo)
 - სამოქალაქო დაცვის ფედერალური სამსახური (FOCP)
 - სპორტის ფედერალური სამსახური (FOSPO)

- | | |
|---|---|
| <p>6. <i>Département fédéral des affaires étrangères (DFAE):</i></p> <ul style="list-style-type: none">- <i>Secrétariat général (SG-DFF)</i>- <i>Secrétariat d'Etat aux questions financières internationales (SFI)</i>- <i>Administration fédérale des finances (AFF)</i>- <i>Office fédéral du personnel (OFPER)</i>- <i>Administration fédérale des contributions (AFC)</i>- <i>Administration fédérale des douanes (AFD)</i>- <i>Office fédéral de l'informatique et de la télécommunication (OFIT)</i>- <i>Office fédéral des constructions et de la logistique (OFCL)</i>- <i>Unité de pilotage informatique de la Confédération (UPIC)</i>- <i>Contrôle fédéral des finances (CDF)</i>- <i>Régie fédérale des alcools (RFA)</i>- <i>Autorité fédérale de surveillance des marchés financiers (FINMA)</i>- <i>Caisse fédérale de pensions PUBLICA</i> | <p>6. ფინანსთა ფედერალური დეპარტამენტი (FDF):</p> <ul style="list-style-type: none">- გენერალური სამდივნო (SG-DFF)- საერთაშორისო ფინანსურ საკითხთა სახელმწიფო სამდივნო (SFI)- ფინანსთა ფედერალური ადმინისტრაცია (FFA)- კადრების ფედერალური სამსახური (FOPER)- ფედერალური საგადასახადო ადმინისტრაცია (FTA)- ფედერალური საბაჟო ადმინისტრაცია (FCA)- საინფორმაციო ტექნოლოგიების, სისტემებისა და კავშირგაბმულობის ფედერალური სამსახური (FOITT)- შენობა-ნაგებობებისა და ლოჯისტიკის ფედერალური სამსახური (FOBL)- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის ფედერალური ქვედანაყოფი (FITSU)- შვეიცარიის ფედერალური აუდიტის ფედერალური სამსახური (SFAO)- შვეიცარიის ალკოჰოლური ნაწარმის საბჭო (SAB)- შვეიცარიის ფინანსური ბაზრის ზედამხედველობის სამსახური (FINMA)- ფედერალური საპენსიო ფონდი PUBLICA |
|---|---|

7. *Département fédéral de l'économie, de la formation et de la recherche DEFR:* 7. ეკონომიკურ განათლებისა და კვლევის დეპარტამენტი (EAER): საკითხთა, სამეცნიერო ფედერალური

- *Secrétariat général (SG-DFE)*
- *Surveillance des prix (SPR)*
- *Secrétariat d'État à l'économie (SECO)*
- *Secrétariat d'Etat à la formation, à la recherche et à l'innovation SEFRI*
- *Domaine des écoles polytechniques (domaine des EPF)*
- *Ecole polytechnique fédérale de Zurich (EPFZ)*
- *Ecole polytechnique fédérale de Lausanne (EPFL)*
- *Institut Paul Scherrer (PSI)*
- *Institut fédéral de recherches sur la forêt, la neige et le paysage (WSL)*
- *Laboratoire fédéral d'essai des matériaux et de recherche (EMPA)*
- *Institut fédéral pour l'aménagement, l'épuration et la protection des eaux (EAWAG)*
- *Office fédéral de l'agriculture (OFAG)*
- *Office fédéral pour l'approvisionnement économique du pays (OFAE)*
- *Office fédéral du logement (OFL)*
- *Suisse tourisme (ST)*
- *Société suisse de crédit hôtelier (SCH)*
- *Assurance suisse contre les risques à l'exportation (ASRE)*
- *Institut fédéral des hautes études en formation professionnelle (IFFP)*
- გენერალური სამდივნო (SG-DFE)
- ფასების კონტროლის სამსახური (PRS)
- ეკონომიკურ საკითხთა სახელმწიფო სამდივნო (SECO)
- განათლების, სამეცნიერო კვლევისა და ინოვაციის სახელმწიფო სამდივნო (SERI)
- შვეიცარიის ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტების გაერთიანება (ETH Domain)
- ციურიხის ტექნოლოგიის ფედერალური ინსტიტუტი (ETHZ)
- ლოზანის ტექნოლოგიის ფედერალური ინსტიტუტი (EPFL)
- პაულ შერერის ინსტიტუტი (PSI)
- თოვლისა და ზვავის კვლევის ინსტიტუტი (WSL)
- შვეიცარიის მასალების გამოცდისა და კვლევის ფედერალური ლაბორატორიები (EMPA)
- შვეიცარიის წყლის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ფედერალური ინსტიტუტი (EAWAG)
- სოფლის მეურნეობის ფედერალური სამსახური (FOAG)
- ეროვნული ეკონომიკური მომარაგების ფედერალური სამსახური (FONES)
- საცხოვრებლით უზრუნველყოფის ფედერალური სამსახური (FHO)
- შვეიცარიის ტურიზმი (ST)
- შვეიცარიის სასტუმროთა დაკრედიტების ასოციაცია (SAH)
- შვეიცარიის საექსპორტო რისკისგან დაზღვევის სამსახური (SERV)

- | | |
|--|---|
| 8. <i>Département fédéral de l'environnement, des transports, de l'énergie et de la communication (DETEC):</i> | 8. გარემოს დაცვის, ტრანსპორტის, ენერჯის და კომუნიკაციის ფედერალური დეპარტამენტი (DETEC): |
| <ul style="list-style-type: none">- <i>Secrétariat général (SG-DETEC)</i>- <i>Office fédéral des transports (OFT)</i>- <i>Office fédéral de l'aviation civile (OFAC)</i>- <i>Office fédéral de l'énergie (OFEN)</i>
- <i>Office fédéral des routes (OFROU)</i>- <i>Office fédéral de la communication (OFCOM)</i>- <i>Office fédéral de l'environnement (OFEV)</i>- <i>Office fédéral du développement territorial (ARE)</i>- <i>Inspection fédérale de la sécurité nucléaire (IFSN)</i> | <ul style="list-style-type: none">- გენერალური სამდივნო (GS-DETEC)- ტრანსპორტის ფედერალური სამსახური (FOT)
- სამოქალაქო ავიაციის ფედერალური სამსახური (FOCA)- შვეიცარიის ენერჯეტიკის ფედერალური სამსახური (SFOE)- საავტომობილო გზების ფედერალური სამსახური (FEDRO)
- კავშირგაბმულობის ფედერალური სამსახური (OFCOM)- გარემოს დაცვის ფედერალური სამსახური (FOENV)- სივრცითი განვითარების ფედერალური სამსახური (ARE)- შვეიცარიის ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური ინსპექცია (ENSI) |

შენიშვნა დამატება 1-ზე

წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება ამ დამატებით გათვალისწინებული სახელმწიფო ორგანოებისა და უწყებების მიერ სასმელი წყლის, ენერჯეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და საფოსტო მომსახურების სფეროებში საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით დადებულ კონტრაქტებზე.



XVI დანართი, მე-2 დამატება

ორგანოები რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე

ნაწილი A: საქართველო

წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი ვრცელდება ორგანოებზე ქვე-ცენტრალური სახელისუფლებო დონეზე, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო შესყიდვის ღირებულება უტოლდება ან აღემატება:

საქონელი

განსაზღვრული მე-4 დამატებით

მონეტარული ზღვარი (SDR) 200, 000

მომსახურება

განსაზღვრული მე-5 დამატებით

მონეტარული ზღვარი (SDR) 200, 000

სამშენებლო მომსახურება

განსაზღვრული მე-6 დამატებით

მონეტარული ზღვარი (SDR) 5, 000, 000

1. ორგანოების ნუსხა

აბაშის მუნიციპალიტეტი: www.abasha.ge

ადიგენის მუნიციპალიტეტი: www.adigeni.ge

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი: www.ambrolauri.ge

ასპინძის მუნიციპალიტეტი: www.aspindza.ge

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი: www.akhalkalaki.ge

ახალციხის მუნიციპალიტეტი: www.akhaltsikhe.ge

ახმეტის მუნიციპალიტეტი: www.myakhmeta.ge

ბაღდათის

მუნიციპალიტეტი:

http://imereti.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=85

ბოლნისის მუნიციპალიტეტი:

www.kvemokartli.gov.ge/index.php?page=bolnisi&lang=1

ბორჯომის მუნიციპალიტეტი: www.borjomi.org.ge/

გარდაბნის მუნიციპალიტეტი: www.gardabani.ge
გორის მუნიციპალიტეტი: www.gorimunicipality.ge
გურჯაანის მუნიციპალიტეტი: www.kakheti.gov.ge/index.php?cat=78&par=6
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი: <http://dedoplistskaro.ge/>
დმანისის მუნიციპალიტეტი: www.dmanisi.com.ge/
დუშეთის მუნიციპალიტეტი: <http://dusheti.org.ge/>
ვანის მუნიციპალიტეტი: <http://vani.org.ge/>
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი: <http://zestaphoni.com/>
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი: www.zugdidi-sakrebulo.ge/
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი:
www.kvemokartli.gov.ge/index.php?page=tetrtskaro&lang=1
თელავის მუნიციპალიტეტი: www.kakheti.gov.ge/index.php?cat=54&par=6
თერჯოლის მუნიციპალიტეტი:
www.imereti.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=84
თიანეთის მუნიციპალიტეტი: <http://tianeti.org.ge/>
კასპის მუნიციპალიტეტი: www.kaspi.org.ge/
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი: www.lagodekhi.org.ge/
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი: www.lanchkhuti.org.ge/
ლენტეხის მუნიციპალიტეტი:
www.georgia-racha.ge/ge/main.php?id=1247402952
მარნეულის მუნიციპალიტეტი:
www.kvemokartli.gov.ge/index.php?page=marneuli&lang=1
მარტვილის მუნიციპალიტეტი: www.martvili.ge/index.html
მესტიის მუნიციპალიტეტი: www.mestia.ge/index.html
მცხეთის მუნიციპალიტეტი: <http://mtskheta.org.ge/>
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი: www.ninotsminda.ge
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი: <http://ozurgeti.org.ge/>
ონის მუნიციპალიტეტი: www.georgia-racha.ge/ge/main.php?id=1247402935
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი: www.kakheti.gov.ge/index.php?cat=60&par=6
სამტრედიის მუნიციპალიტეტი: www.samtredia.com.ge/index2.php
საჩხერის მუნიციპალიტეტი: http://imereti.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=81
სენაკის მუნიციპალიტეტი: www.senaki.ge/index.html
სიღნაღის მუნიციპალიტეტი: <http://signagi.com.ge/index.php>
ტყიბულის მუნიციპალიტეტი:
ქარელის მუნიციპალიტეტი: <http://shidakartli.gov.ge/?page=kareli&lang=geo>
ქედის მუნიციპალიტეტი
ქობულეთის მუნიციპალიტეტი
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი
ყვარელის მუნიციპალიტეტი: www.kakheti.gov.ge/index.php?cat=57&par=6
შუახევის მუნიციპალიტეტი: www.shuakhevi.ge/
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი <http://chokhatauri.ge/>

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი

ცაგერის მუნიციპალიტეტი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი: www.tsalenjikha.ge/

წალკის მუნიციპალიტეტი:

www.kvemokartli.gov.ge/index.php?page=calka&lang=1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

ჭიათურის მუნიციპალიტეტი: <http://chiatura.org.ge/>

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

ხაშურის მუნიციპალიტეტი: <http://selfgovernment.khashuri.org.ge/>

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი: www.khelvachauri.ge

ხობის მუნიციპალიტეტი: www.khobi.ge

ხონის მუნიციპალიტეტი: www.imereti.ge

ხულოს მუნიციპალიტეტი: <http://khulo.ge/>

2. თვითმმართველი ქალაქები

თვითმმართველი ქალაქი ამბროლაური: <http://ambrolauri.ge/>

თვითმმართველი ქალაქი ახალციხე: www.akhaltsikhe.gov.ge/

თვითმმართველი ქალაქი ბათუმი: <http://batumi.ge>

თვითმმართველი ქალაქი გორი: www.gori.gov.ge/

თვითმმართველი ქალაქი ზუგდიდი: www.zugdidity.ge/

თვითმმართველი ქალაქი თბილისი: www.tbilisi.gov.ge/

თვითმმართველი ქალაქი თელავი: <http://telavi-gov.ge/>

თვითმმართველი ქალაქი მცხეთა: <http://mtskheta.gov.ge/>

თვითმმართველი ქალაქი ოზურგეთი: <http://ozurgeti.gov.ge/>

თვითმმართველი ქალაქი რუსთავი: <http://rustavi.ge/>

თვითმმართველი ქალაქი ფოთი: www.poticity.ge

თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი: www.kutaisi.gov.ge/

3. საქართველოს სამხარეო ადმინისტრაციები:

სახელმწიფო რწმუნებული - გურიის გუბერნატორი

სახელმწიფო რწმუნებული - რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის გუბერნატორი

სახელმწიფო რწმუნებული - სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი

სახელმწიფო რწმუნებული - მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი

სახელმწიფო რწმუნებული - სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი

სახელმწიფო რწმუნებული - ქვემო ქართლის გუბერნატორი

სახელმწიფო რწმუნებული - შიდა ქართლის გუბერნატორი

სახელმწიფო რწმუნებული - იმერეთის გუბერნატორი

სახელმწიფო რწმუნებული - კახეთის გუბერნატორი

4. საჯარო სამართლის ყველა იურიდიული პირი.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს უწყება, თუ:

a) ის დაფუძნებულია იმ მიზნით, რომ ემსახუროს საჯარო ინტერესებს და მას არ აქვს კომერციული ან სამეწარმეო საქმიანობის ხასიათი;

b) გააჩნია იურიდიული პირის სტატუსი; და

c) დაფინანსების ძირითად წყაროს ღებულობს სახელმწიფო, რეგიონული ან ადგილობრივი ორგანოებიდან; ან სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისგან ან არის ასეთი პირების მართვის ქვეშ მყოფი სუბიექტი; ან მისი ადმინისტრაციის, ხელმძღვანელობის ან სამეთვალყურეო საბჭოს ნახევარზე მეტი ინიშნება, სახელმწიფო, რეგიონული ან ადგილობრივი ორგანოს ან სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ;

შენიშვნა დამატება 2-ზე

წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება ამ დამატებით გათვალისწინებული სახელმწიფო ორგანოების მიერ წყლით მომარაგების, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და საფოსტო მომსახურების სფეროებში საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით დადებულ კონტრაქტებზე.

ნაწილი B: ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნები

წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი ვრცელდება ორგანოებზე ხელისუფლების რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე, იმ შემთხვევაში თუ თუ სახელმწიფო შესყიდვის ღირებულება უტოლდება ან აღემატება:

საქონელი
განსაზღვრული მე-4 დამატებით

მონეტარული ზღვარი (SDR) 200, 000

მომსახურება
განსაზღვრული მე-5 დამატებით

მონეტარული ზღვარი (SDR) 200, 000

სამშენებლო მომსახურება
განსაზღვრული მე-6 დამატებით

მონეტარული ზღვარი (SDR) 5, 000, 000

a. ისლანდია

სახელმწიფო ორგანოებისა და უწყებების ნუსხა:

1. რეგიონალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ყველა შემსყიდველი სახელმწიფო ორგანო (მათ შორის ყველა მუნიციპალიტეტი).
2. ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო და უწყება, რომელიც ეწევა არაკომერციულ ან არა-სამრეწველო საქმიანობას და რომლის შესყიდვების პოლიტიკა იმართება, ცენტრალური, რეგიონალური ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, დამოკიდებულია მასზე ან ექვემდებარება მას.

b. ლიხტენშტაინი

სახელმწიფო ორგანოებისა და უწყებების ნუსხა:

1. სახელმწიფო ორგანოები ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე

2. საჯარო სამართალს დაქვემდებარებული ორგანოები.¹

c. ნორვეგია

სახელმწიფო ორგანოებისა და უწყებების ნუსხა:

1. რეგიონალური (კანტონები) ან ადგილობრივი (მუნიციპალიტეტები) ხელისუფლების დონეზე მოქმედი ყველა ორგანო.

2. საჯარო სამართალს დაქვემდებარებული ყველა ორგანო.

ორგანო ითვლება საჯარო სამართალს დაქვემდებარებულ ორგანოდ, თუ:

(a) ის შექმნილია სპეციალური საჯარო მიზნების შესასრულებლად და არ ეწევა სამრეწველო ან კომერციულ საქმიანობას;

(b) აქვს დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსი;

(c) მისი დაფინანსება ძირითადად ხდება სახელმწიფოს, რეგიონალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, ან საჯარო სამართალს დაქვემდებარებული სხვა ორგანოების მიერ, ან ექვემდებარება ამ ორგანოების ზედამხედველობას, ან ყავს ადმინისტრაციული, მმართველობითი ან სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრთა ნახევარზე მეტი დანიშნულია სახელმწიფოს, რეგიონალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ან საჯარო სამართალს დაქვემდებარებული სხვა ორგანოების მიერ.

3. ყველა ასოციაცია, რომელშიც გაერთიანებულია წინა 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო ორგანო და უწყება.

¹ ორგანო ითვლება საჯარო სამართალს დაქვემდებარებულ ორგანოდ, თუ:

- ის შექმნილია სპეციალური საჯარო მიზნების შესასრულებლად და არ ეწევა სამრეწველო ან კომერციულ საქმიანობას;
- აქვს დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსი; და
- მისი დაფინანსება ძირითადად ხდება სახელმწიფოს, რეგიონალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, ან საჯარო სამართალს დაქვემდებარებული სხვა ორგანოების მიერ, ან ექვემდებარება ამ ორგანოების ზედამხედველობას, ან ყავს ადმინისტრაციული, მმართველობითი ან სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრთა ნახევარზე მეტი დანიშნულია სახელმწიფოს, რეგიონალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ან საჯარო სამართალს დაქვემდებარებული სხვა ორგანოების მიერ.

4. საჯარო სამართალს დაქვემდებარებული ორგანოების საორიენტაციო ნუსხა თანდართულია.

შენიშვნები დამატება 2-ზე

შემსყიდველი ორგანოებისა და უწყებების საორიენტაციო ნუსხა, რომლებიც წარმოადგენენ საჯარო სამართალს დაქვემდებარებულ ორგანოებს

1.

<i>Enova SF</i>	ენოვა SF
<i>Garantiinstituttet for eksportkreditt, GIEK</i>	საექსპორტო კრედიტებზე გარანტიის ნორვეგიული ინსტიტუტი
<i>Helse Sør-Øst RHF</i>	სამხრეთ-აღმოსავლეთ ნორვეგიის რეგიონალური ჯანდაცვის ორგანო
<i>Helse Vest RHF</i>	დასავლეთ ნორვეგიის რეგიონალური ჯანდაცვის ორგანო
<i>Helse Midt-Norge RHF</i>	ცენტრალური ნორვეგიის რეგიონალური ჯანდაცვის ორგანო
<i>Helse Nord RHF</i>	ჩრდილოეთ ნორვეგიის რეგიონალური ჯანდაცვის ორგანო
<i>Innovasjon Norge</i>	ნორვეგიის ინოვაციები
<i>Norsk rikskringkasting, NRK</i>	ნორვეგიის სამაუწყებლო კორპორაცია
<i>Universitetscenteret på Svalbard AS</i>	სვალბარდის საუნივერსიტეტო ცენტრი
<i>Uninett AS</i>	ნორვეგიის სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო ქსელი „უნინეტ“
<i>Simula Research Laboratory AS</i>	სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია „სიმულა“ AS
<i>Norsk samfunnsvitenskapelig datatjeneste AS (NSD)</i>	ნორვეგიის სოციალურ მეცნიერებათა მონაცემთა ბაზების მართვის

სამსახური AS (NSD)

2. კატეგორიები:

- *Statsbanker (სახელმწიფო ბანკები)*
- *სახელმწიფოს საკუთრებაში და მართვის ქვეშე მოფი მუზეუმები*

d. შვეიცარია

სახელმწიფო ორგანოებისა და უწყებების ნუსხა²

1. სახელმწიფო ორგანოები კანტონების დონეზე
2. საჯარო სამართალს დაქვემდებარებული ორგანოები კანტონების დონეზე, რომელთა საქმიანობას არ აქვს კომერციული ან სამრეწველო ხასიათი.
3. საჯარო სამართალს დაქვემდებარებული ორგანოები და სახელმწიფო უწყებები ოლქებისა და მუნიციპალიტეტების დონეზე.

შვეიცარიის კანტონების ნუსხა:

ციურიხის კანტონი (ZH)
ბერნის კანტონი (BE);
ლუცერნის კანტონი (LU)
ურის კანტონი (UR)
შვიცის კანტონი (SZ)
ობვალდენის კანტონი (OW)
ნიდვალდენის კანტონი (NW)
გლარუსის კანტონი (GL)
ცუგის კანტონი (ZG)
ფრიბურგის კანტონი (FR);
ზოლოთურნის კანტონი (SO)
ბაზელ-შტადტის კანტონი (BS)
ბაზელ-ლანდის კანტონი (BL)
შაფჰაუზენის კანტონი (SH)
აპენცელ-აუსეროდენის კანტონი (AR)

² თავდაცვის ფედერალური დეპარტამენტის სახელით კანტონების მიერ თავდაცვითი პროდუქციის შესყიდვასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებებისათვის იხილეთ გამონაკლისები.

აპენცელ-ინეროდენის კანტონი (AI)
სანქტ-გალენის კანტონი (SG)
გრაუბიუნდენის კანტონი (GR)
აარგაუს კანტონი (AR)
თურგაუს კანტონი (TG)
ტიჩინოს კანტონი (TI)
ვოს კანტონი (VD)
ვალეს კანტონი (VS)
ნევშატელის კანტონი (NE)
ჯენევის კანტონი (GE)
იურის კანტონი (JU)

შენიშვნები დამატება 2-ზე

წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება ამ დამატებით გათვალისწინებული სახელმწიფო ორგანოების მიერ სასმელი წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და საფოსტო მომსახურების სფეროებში საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით დადებულ კონტრაქტებზე.

XVI დანართი მე-3 დამატება

სხვა ორგანოები

ნაწილი A: საქართველო

წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი ვრცელდება სხვა ორგანოებსა და სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ საწარმოებზე³ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო შესყიდვის ღირებულება უტოლდება ან აღემატება:

საქონელი

განსაზღვრული მე-4 დამატებით

³ სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმო ნიშნავს საწარმოს, რომლის აქციათა ან წილის 50 %-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ ამ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს. წყარო: <http://www.procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/LegalActs/matsne-31252-57.pdf.aspx>

მონეტარული ზღვარი (SDR) 400, 000

მომსახურება
განსაზღვრული მე-5 დამატებით

მონეტარული ზღვარი (SDR) 400, 000

სამშენებლო მომსახურება
განსაზღვრული მე-6 დამატებით

მონეტარული ზღვარი (SDR) 5, 000, 000

შენიშვნები დამატება 3-ზე

წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილი კომპანიებისა და სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების მიერ იმ საქონლისა და მომსახურების შესყიდვებზე, რომელიც საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებებით ნათლად განისაზღვრება, როგორც გამონაკლისი:

- (a) შპს „მარაბდა-კარჩახის რკინიგზისათვის“ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 613, 2015 წლის 11 დეკემბერი). ძალაშია 2017 წლის 28 დეკემბრამდე;
- (b) შპს „ენგურჰესის“ და შპს „ვარდნილჰესების კასკადისათვის“ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 191, 2014 წლის 20 თებერვალი). ძალაშია 2016 წლის 1 მარტამდე;
- (c) შპს „ექსპრესისათვის“ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 219, 2014 წლის 12 მარტი). ძალაშია 2016 წლის 12 მარტამდე;
- (d) შპს „თბილავიამშენისათვის“ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 554, 2014 წლის 12 სექტემბერი). ძალაშია 2016 წლის 28 აგვისტომდე;

- (e) სს „საქართველოს რკინიგზისათვის“ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 665, 2015 წლის 30 დეკემბერი). ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრამდე;
- (f) სს „საპარტნიორო ფონდისათვის“ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 59, 2015 წლის 13 თებერვალი). ძალაშია 2016 წლის 13 თებერვლამდე;
- (g) შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიისათვის“ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 90, 2015 წლის 9 მარტი). ძალაშია 2016 წლის 1 მარტამდე;
- (h) შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის“ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 95, 2015 წლის 9 მარტი). ძალაშია 2016 წლის 31 იანვრამდე;
- (i) შპს „საქართველოს ფოსტისათვის“ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 442, 2015 წლის 26 აგვისტო). ძალაშია 2016 წლის 17 აგვისტომდე;
- (j) შპს „დემეტრე 96“-ისათვის მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 462, 2015 წლის 7 სექტემბერი). ძალაშია 2017 წლის 7 სექტემბრამდე;
- (k) შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 478, 2015 წლის 14 სექტემბერი). ძალაშია 2017 წლის 14 სექტემბრამდე;
- (l) შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისათვის“ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 501, 2015 წლის 24 სექტემბერი). ძალაშია 2017 წლის 1 იანვრამდე;

- (m) შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისათვის“ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 513, 2015 წლის 6 ოქტომბერი). ძალაშია 2017 წლის 6 ოქტომბრამდე;
- (n) შპს „დელტა ინტერნეიშენალისთვის“ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 525, 2015 წლის 9 ოქტომბერი). ძალაშია 2017 წლის 9 ოქტომბრამდე;
- (p) შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებისათვის“ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 548, 2015 წლის 26 ოქტომბერი). ძალაშია 2017 წლის 26 ოქტომბრამდე;
- (q) სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუციისათვის“ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 657, 2017 წლის 1 იანვარი);
- (r) სს „საქართველოს ენერჯექტივის განვითარების ფონდისათვის“ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 6, 2016 წლის 11 იანვარი). ძალაშია 2018 წლის 11 იანვრამდე;
- (s) სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისათვის“ მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების სპეციალური წესი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 598, 2015 წლის 27 ნოემბერი). ძალაშია 2017 წლის 27 ნოემბრამდე.

ნაწილი B: ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნები

წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი ვრცელდება სხვა ორგანოებსა და სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ საწარმოებზე იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო შესყიდვის ღირებულება უტოლდება ან აღემატება:

საქონელი
განსაზღვრული მე-4 დამატებით

მონეტარული ზღვარი (SDR) 400, 000

მომსახურება
განსაზღვრული მე-5 დამატებით

მონეტარული ზღვარი (SDR) 400, 000

სამშენებლო მომსახურება
განსაზღვრული მე-6 დამატებით

მონეტარული ზღვარი (SDR) 5, 000, 000

a. ისლანდია

1. შემსყიდველი ორგანიზაციები, რომელთა მიერ განხორციელებულ შესყიდვებზე ვრცელდება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის დირექტივა 2004/17 ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) შესახებ და რომლებიც წარმოადგენენ შემსყიდველ სახელმწიფო ორგანოებს (მაგალითად, ორგანოებს, რომელთაც მოიცავს 1-ლი და მე-2 დამატებები) ან სახელმწიფო საწარმოებს⁴, და რომლებიც განახორციელებენ ერთ-ერთ ან რამდენიმე ქვემოთ მოცემულ საქმიანობას:

- (a) იმ ფიქსირებული ქსელების მოწყობა და ექსპლუატაცია, რომლებიც განკუთვნილია მოსახლეობისთვის სასმელი წყლის წარმოების, ტრანსპორტირებისა და დისტრიბუციის, ან აღნიშნული ქსელების სასმელი წყლით მომარაგების მიზნებისათვის;
- (b) იმ ფიქსირებული ქსელების მოწყობა და ექსპლუატაცია, რომლებიც განკუთვნილია მოსახლეობისთვის

⁴ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის დირექტივის 2004/17 შესაბამისად, რომელიც კოორდინირებას უწევს შესყიდვის პროცედურებს წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სფეროებში მოქმედ ორგანიზაციებში (და რომელიც ვრცელდება ევროპის ეკონომიკურ სივრცეზე (EEA) ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) ერთობლივი კომიტეტის 2006 წლის ივნისის გადაწყვეტილებით N 68/2006 ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) შესახებ შეთანხმების დანართში XVI (შესყიდვები) ცვლილებების შეტანის თაობაზე), სახელმწიფო საწარმო წარმოადგენს ნებისმიერ საწარმოს, რომელზეც შემსყიდველი სახელმწიფო ორგანოები, პირდაპირ ან ირიბად, ახდენენ დომინირებად გავლენას საკუთრების უფლების, ფინანსური მონაწილეობის ან მარეგულირებელი წესების საფუძველზე. საწარმოზე დომინირებადი გავლენა შემსყიდველი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ივარაუდება, თუ შემსყიდველი სახელმწიფო ორგანოები, პირდაპირ ან ირიბად:

- ფლობენ საწარმოს გამოწერით გამოშვებული საქციო კაპიტალის წილის უმრავლესობას; ან
- აკონტროლებენ საწარმოს მიერ გამოშვებული აქციებით უზრუნველყოფილ ხმათა უმრავლესობას; ან
- შეუძლიათ დანიშნონ საწარმოს ადმინისტრაციული, მმართველობითი ან სამეთვალყურეო ორგანოს წევრთა ნახევარზე მეტი.

ელექტროენერჯის წარმოების, ტრანსპორტირებისა და დისტრიბუციის, ან ამ ქსელების ელექტროენერჯით მომარაგების მიზნებისათვის;

(c) აეროპორტისა და სხვა ტერმინალების მოწყობა საჰაერო გადამზიდავებისთვის;

(d) საზღვაო ან შიდა პორტის და სხვა ტერმინალების მოწყობა საზღვაო ან შიდა სამდინარო გადამზიდავებისთვის;

(e) იმ ფიქსირებული ქსელების⁵ მოწყობა და ექსპლუატაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობისთვის მომსახურების მიწოდებას საქალაქო რკინიგზით, ავტომატიზებული მეტროპოლიტენითა და რკინიგზით, ტრამვაით, ტროლეიბუსით, ავტობუსითა და საჰაერო-საბაგრო ხაზებით ტრანსპორტირების სფეროში.

(f) იმ ქსელების მოწყობა და ექსპლუატაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობისთვის სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში მომსახურების მიწოდებას⁶;

(g) საფოსტო მომსახურების მიწოდება.

2. შემსყიდველი სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო საწარმოების საორიენტაციო ნუსხა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, თანდართულია.

იმ შემსყიდველი სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო საწარმოების საორიენტაციო ნუსხა, რომლებიც აკმაყოფილებენ მე-3 დამატებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს:

ელექტროენერჯის სექტორი:

1. *Landvirkjun* (ეროვნული ენერგეტიკული კომპანია), აქტი N 42/1983.
2. *Landsnet* (ისლანდიის ენერჯოსისტემა), აქტი N 75/2004.
3. *Rafmagnsveitur ríkisins* (სახელმწიფო ელექტროსადგური), აქტი N 58/1967.

⁵ რაც შეეხება სატრანსპორტო მომსახურებას, ჩაითვლება, რომ ქსელი ფუნქციონირებადია, თუ მომსახურების მიწოდება ხორციელდება ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი საექსპლუატაციო პირობების, მათ შორის სამარშრუტო მიმართულებების, ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და მომსახურების სიხშირის შესახებ პირობების შესაბამისად.

⁶ მაგალითად, იმ ქსელების მოწყობა და ექსპლუატაცია (მე-5 სქოლიოს შესაბამისად), რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობისათვის მომსახურების მიწოდებას ჩქარი და ტრადიციული მატარებლით გადაყვანების სფეროში.

4. *Orkuveita Reykjavíkur* (რეკიავიკ ენერჯი), აქტი N 139/2001.
5. *Orkubú Vestfjarða* (ვესტფიორდის ენერჯეტიკული კომპანია), აქტი N 40/2001.
6. *Norðurorka*, აქტი N 159/2002.
7. *Hitaveita Suðurnesja*, აქტი N 10/2001.
8. სხვა ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ელექტროენერჯის წარმოებას, ტრანსპორტირებასა და დისტრიბუციას აქტის N 65/2003 შესაბამისად.

ქალაქის ტრანსპორტი:

9. *Strætó* (რეკიავიკის მუნიციპალური ავტობუსების სერვისი).
10. სხვა ორგანოები, რომლებიც საქმიანობას ეწევიან "ქალაქის ტრანსპორტის შესახებ" აქტის N 73/2001 შესაბამისად.

აეროპორტები:

11. *Flugmálastjórn Íslands* (სამოქალაქო ავიაციის სამმართველო), აქტი N 100/2006.

პორტები:

12. *Siglingastofnun Íslands* (ისლანდიის საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაცია)
13. სხვა ორგანოები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ "ნავსადგურის შესახებ" აქტის N 61/2003 შესაბამისად.

წყლის მიწოდება:

14. სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ სასმელი წყლის წარმოებასა ან დისტრიბუციას "კომუნალური წყალმომარაგების შესახებ" აქტის N 32/2004 შესაბამისად.

საფოსტო მომსახურება:

15. ორგანოები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ "საფოსტო მომსახურების შესახებ" აქტის N 19/2002 შესაბამისად.

შენიშვნები დამატება 3-ზე

1. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობების მიზნებისთვის განხორციელებულ შესყიდვას, თუ ის ხორციელდება ბაზარზე კონკურენტული ძალების არსებობის პირობებში.

2. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება ამ დამატებაში ჩამოთვლილი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ შემდეგი სახის შესყიდვებზე:

- (a) ენერჯის წარმოებისათვის საჭირო წყლის, ენერჯისა ან საწვავის შესყიდვა;
- (b) ამ დამატებაში ჩამოთვლილი საქმიანობისაგან განსხვავებული მიზნებისთვის განხორციელებული შესყიდვა ან შესყიდვა, რომელიც ხორციელდება აღნიშნული საქმიანობებისათვის ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) არაწევრ ქვეყანაში; და
- (c) შესყიდვა, რომელიც ხორციელდება მესამე პირზე გადაყიდვის ან გაქირავების მიზნით იმ პირობით, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია არ ფლობს შესაბამისი კონტრაქტის საგნის გაყიდვის ან გაქირავების სპეციალურ ან ექსკლუზიურ უფლებას და სხვა ორგანიზაციებს შეუძლიათ ამ საგნის გაყიდვა ან გაქირავება შემსყიდველ ორგანიზაციასთან თანაბარი პირობებით.

3. შემსყიდველი სახელმწიფო ორგანოების გარდა სხვა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წყლითა და ელექტროენერჯით იმ ქსელების მომარაგება, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოსახლეობას, არ შეიძლება ჩაითვალოს ამ დამატების (a) ან (b) ქვეპუნქტების შესაბამისად განხორციელებულ საქმიანობად, თუ:

- (a) აღნიშნული ორგანიზაციის მიერ სასმელი წყლის ან ელექტროენერჯის წარმოება აუცილებელია სხვა საქმიანობების განსახორციელებლად, გარდა წინამდებარე დამატების (a) - (g) ქვეპუნქტებში მითითებული საქმიანობებისა; და
- (b) საერთო სარგებლობის ქსელის მომარაგება დამოკიდებულია მხოლოდ მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ აღნიშნული რესურსების საკუთარ მოხმარებაზე და არ აღემატება მის მიერ წარმოებული სასმელი წყლისა და ელექტროენერჯის საერთო ოდენობის 30 %-ს, ბოლო სამი წლის, მათ შორის მიმდინარე წლის, საშუალო მაჩვენებლის გათვალისწინებით.

4. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ მოიცავს:

(a) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აფილირებული საწარმოსთვის განხორციელებულ შესყიდვებს⁷; ან

(b) ერთობლივი საწარმოს (რომელიც უშუალოდ შექმნილია რამდენიმე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ამ დამატების (a) - (g) ქვეპუნქტებში მითითებული საქმიანობების განსახორციელებლად) მიერ იმ საწარმოსათვის განხორციელებულ შესყიდვებზე, რომელიც აფილირებულია ერთ-ერთ აღნიშნულ შემსყიდველ ორგანიზაციასთან;

იმ შემთხვევაში, თუ აფილირებული საწარმოს ბოლო სამი წლის საშუალო ბრუნვის სულ მცირე 80 % წარმოიშვა მასთან აფილირებული საწარმოებისთვის შესაბამისი მომსახურებისა ან მარაგების მიწოდების შედეგად.

თუ აფილირებულ საწარმოს არ გააჩნია სამწლიანი ბრუნვა მისი დაარსების ან საქმიანობის დაწყების თარიღიდან გამომდინარე, საკმარისია, საწარმომ აჩვენოს, კერძოდ ბიზნეს პროექტებით, რომ მე-4 პუნქტში აღნიშნული ბრუნვა მოსალოდნელია.

6. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება შემდეგი სახის შესყიდვებზე:

(a) იმ ერთობლივი საწარმოს მიერ განხორციელებულ შესყიდვებზე, რომელიც უშუალოდ შექმნილია რამდენიმე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ამ დამატების (a) - (g) ქვეპუნქტებში მითითებული საქმიანობების განსახორციელებლად, ერთ-ერთი აღნიშნული შემსყიდველი ორგანიზაციისათვის; ან

(b) ერთობლივი საწარმოს შემადგენელი რომელიმე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვებზე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ერთობლივი საწარმო დაფუძნდა სულ მცირე სამი წლის განმავლობაში შესაბამისი საქმიანობის განსახორციელებლად და მისი დაფუძნების ინსტრუმენტი ადგენს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები, რომლებიც ჰქმნიან

⁷ „აფილირებული საწარმო“ ნიშნავს ნებისმიერ საწარმოს, რომლის ყოველწლიური ანგარიშების კონსოლიდირება ხდება შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშთან, კონსოლიდირებული ანგარიშების შესახებ საბჭოს 83/349/EEC დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო იმ ორგანიზაციების შემთხვევაში, რომლებზეც აღნიშნული დირექტივა არ ვრცელდება, ნებისმიერი საწარმო, რომელზეც შემსყიდველი ორგანიზაცია, პირდაპირ ან ირიბად, ახდენს დომინირებად გავლენას, ან რომელიც თავად ზემოქმედებს შემსყიდველ ორგანიზაციაზე, ან რომელიც შემსყიდველ ორგანიზაციასთან ერთად იმყოფება სხვა საწარმოს გავლენის ქვეშ საკუთრების უფლების, ფინანსური მონაწილეობისა ან მარეგულირებელი წესების საფუძველზე.

აღნიშნულ ერთობლივ საწარმოს, წარმოადგენენ მის შემადგენელ ნაწილს სულ მცირე იმავე დადგენილი პერიოდის განმავლობაში.

7. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება იმ შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ შესყიდვებზე, რომლებიც საქმიანობას ეწევიან შემდეგ სფეროებში:

- (i) წინამდებარე დამატებით გათვალისწინებული სასმელი წყლის წარმოება, ტრანსპორტირება და დისტრიბუცია;
- (ii) წინამდებარე დამატებით გათვალისწინებული საზღვაო ან შიდა პორტები ან სხვა ტერმინალები; და
- (iii) წინამდებარე დამატებით გათვალისწინებული სასმელი წყლის წარმოება, ტრანსპორტირება და დისტრიბუცია.

8. ერთობლივმა კომიტეტმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება მე-7 პუნქტში აღნიშნულ სფეროებში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციების ხელშეკრულებაში ჩართვის შესახებ, როგორც კი საქართველო უზრუნველყოფს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნების მიმწოდებელთა თანმიმდევრულ წვდომას ქართული კერძო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ შესაბამის შესყიდვის ოპერაციებთან აღნიშნულ სფეროებში.

b. ლიხტენშტაინი

ორგანოების ნუსხა:

შემსყიდველი ორგანიზაციები, რომელთა მიერ განხორციელებულ შესყიდვებზე ვრცელდება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის დირექტივა 2004/17 ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) შესახებ და რომლებიც წარმოადგენენ შემსყიდველ სახელმწიფო ორგანოებს (მაგალითად, ორგანოებს, რომელთაც ფარავს 1-ლი და მე-2 დამატებები) ან სახელმწიფო საწარმოებს⁸, და რომლებიც განახორციელებენ ერთ-ერთ ან რამდენიმე ქვემოთ მოცემულ საქმიანობას:

⁸ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის დირექტივის 2004/17 შესაბამისად, რომელიც კოორდინირებას უწევს შესყიდვის პროცედურებს წყლის, ენერჯეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სფეროებში მოქმედ ორგანიზაციებში (და რომელიც ვრცელდება ევროპის

- (a) იმ ფიქსირებული ქსელების მოწყობა და ექსპლუატაცია, რომლებიც განკუთვნილია მოსახლეობისთვის სასმელი წყლის წარმოების, ტრანსპორტირებისა და დისტრიბუციის, ან აღნიშნული ქსელების წყალმომარაგების მიზნებისათვის (როგორც ეს განსაზღვრულია სექტორთა ნუსხით 1);
- (b) იმ ფიქსირებული ქსელების მოწყობა და ექსპლუატაცია, რომლებიც განკუთვნილია მოსახლეობისთვის ელექტროენერჯის წარმოების, ტრანსპორტირების და დისტრიბუციის, ან ამ ქსელების ელექტროენერჯით მომარაგების მიზნებისათვის (როგორც ეს განსაზღვრულია სექტორთა ნუსხით 2);
- (c) იმ ფიქსირებული ქსელების⁹ მოწყობა და ექსპლუატაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობისთვის მომსახურების მიწოდებას საქალაქო რკინიგზით, ავტომატიზებული მეტროპოლიტენითა და რკინიგზით, ტრამვით, ტროლეიბუსით, ავტობუსითა და საჰაერო-საბაგრო ხაზებით ტრანსპორტირების სფეროში (როგორც ეს განსაზღვრულია სექტორთა ნუსხით 3);
- (d) გეოგრაფიული სივრცის გამოყენება აეროპორტისა და სხვა ტერმინალების მოსაწყობად საჰაერო გადაზიდვებისთვის (როგორც ეს განსაზღვრულია სექტორთა ნუსხით 4);
- (e) გეოგრაფიული სივრცის გამოყენება შიდა პორტის ან სხვა ტერმინალების მოსაწყობად საზღვაო და შიდა სამდინარო

ეკონომიკურ სივრცეზე (EEA) ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) ერთობლივი კომიტეტის 2006 წლის ივნისის გადაწყვეტილებით N 68/2006 ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) შესახებ შეთანხმების დანართში XVI (შესყიდვები) ცვლილებების შეტანის თაობაზე), სახელმწიფო საწარმო წარმოადგენს ნებისმიერ საწარმოს, რომელზეც შემსყიდველი სახელმწიფო ორგანოები, პირდაპირ ან ირიბად, ახდენენ დომინირებად გავლენას საკუთრების უფლების, ფინანსური მონაწილეობისა ან მარეგულირებელი წესების საფუძველზე.

საწარმოზე დომინირებადი გავლენა შემსყიდველი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ივარაუდება, თუ შემსყიდველი სახელმწიფო ორგანოები, პირდაპირ ან ირიბად:

- ფლობენ საწარმოს გამწვანებით გამოშვებული სააქციო კაპიტალის წილის უმრავლესობას; ან
- აკონტროლებენ საწარმოს მიერ გამოშვებული აქციებით უზრუნველყოფილ ხმათა უმრავლესობას; ან
- შეუძლიათ დანიშნონ საწარმოს ადმინისტრაციული, მმართველობითი ან სამეთვალყურეო ორგანოს წევრთა ნახევარზე მეტი.

⁹ რაც შეეხება სატრანსპორტო მომსახურებას, ჩაითვლება, რომ ქსელი ფუნქციონირებადია, თუ მომსახურების მიწოდება ხორციელდება ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი საექსპლუატაციო პირობების, მათ შორის სამარშრუტო მიმართულებების, ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და მომსახურების სიხშირის შესახებ პირობების შესაბამისად.

გადამზიდავებისთვის (როგორც ეს განსაზღვრულია სექტორთა ნუსხით 5);

სექტორთა ნუსხა:

1. სასმელი წყლის წარმოება, ტრანსპორტირება და დისტრიბუცია

სახელმწიფო ორგანოები და საწარმოები, რომლებიც ახორციელებენ სასმელი წყლის წარმოებას, ტრანსპორტირებასა და დისტრიბუციას. სახელმწიფო ორგანოები და საწარმოები საქმიანობას ახორციელებენ ადგილობრივი კანონმდებლობისა და ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე.

1. Gruppenwasserversorgung Liechtensteiner Oberland
2. Gruppenwasserversorgung Liechtensteiner Unterland

2. ელექტროენერჯის წარმოება, ტრანსპორტირება და დისტრიბუცია

ელექტროენერჯის წარმოებით, ტრანსპორტირებითა და დისტრიბუციით დაკავებული სახელმწიფო ორგანოები და საწარმოები, რომლებიც საქმიანობას ეწევიან გასხვისების ნებართვის საფუძველზე.

1. Liechtensteinische Kraftwerke

3. საქალაქო რკინიგზის, მეტროპოლიტენისა და სარკინიგზო ავტომატიზებული სისტემების, ტრამვაით, ტროლეიბუსით, ავტობუსით მომსახურებისა და საჰაერო-საბაგირო ხაზების სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციები და საწარმოები

1. LIECHTENSTEINmobil

4. აეროპორტის აღჭურვილობის შემსყიდველი ორგანიზაციები

არ არის

5. შიდა პორტების მოწყობის სფეროში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციები

არ არის

შენიშვნები დამატება 3-ზე

1. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება შესყიდვებზე, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია ახორციელებს წინამდებარე დამატებით განსაზღვრული საქმიანობებისაგან განსხვავებული მიზნებისთვის ან თუ ის აღნიშნულ საქმიანობებს ახორციელებს ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) არაწევრ ქვეყანაში;

2. წინამდებარე შეთანხმება არ ვრცელდება შემდეგი სახის შესყიდვებზე:

(a) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აფილირებული საწარმოსთვის განხორციელებულ შესყიდვებზე;¹⁰ ან

(b) ერთობლივი საწარმოს მიერ განხორციელებულ შესყიდვებზე, რომელიც უშუალოდ შექმნილია რამდენიმე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ამ დამატების (i) - (vi) ქვეპუნქტებში მითითებული საქმიანობების განსახორციელებლად, ერთ-ერთი აღნიშნული შემსყიდველი ორგანიზაციისათვის,

იმ შემთხვევაში, თუ აფილირებული საწარმოს ბოლო სამი წლის საშუალო ბრუნვის სულ მცირე 80 % წარმოშობილია მასთან აფილირებული საწარმოებისათვის შესაბამისი მომსახურებისა ან საქონლის მიწოდების შედეგად.

თუ აფილირებულ საწარმოს არ გააჩნია სამწლიანი ბრუნვა მისი დაარსების ან საქმიანობის დაწყების თარიღიდან გამომდინარე, საკმარისია, საწარმომ აჩვენოს, კერძოდ ბიზნეს პროექტებით, რომ მე-2 პუნქტში აღნიშნული ბრუნვა მოსალოდნელია.

4. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება:

(a) იმ ერთობლივი საწარმოს მიერ განხორციელებულ შესყიდვებზე, რომელიც უშუალოდ შექმნილია რამდენიმე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ამ დამატების (a)-(e) ქვეპუნქტებში მითითებული საქმიანობების განსახორციელებლად, ერთ-ერთი აღნიშნული შემსყიდველი ორგანიზაციისათვის; ან

¹⁰ „აფილირებული საწარმო“ ნიშნავს ნებისმიერ საწარმოს, რომლის ყოველწლიური ანგარიშების კონსოლიდირება ხდება შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშთან, კონსოლიდირებული ანგარიშების შესახებ საბჭოს 83/349/EEC დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო იმ ორგანიზაციების შემთხვევაში, რომლებზეც აღნიშნული დირექტივა არ ვრცელდება, ნებისმიერი საწარმო, რომელზეც შემსყიდველი ორგანიზაცია, პირდაპირ ან ირიბად, ახდენს დომინირებად გავლენას, ან რომელიც თავად ზემოქმედებს შემსყიდველ ორგანიზაციაზე, ან რომელიც შემსყიდველ ორგანიზაციასთან ერთად იმყოფება სხვა საწარმოს გავლენის ქვეშ საკუთრების უფლების, ფინანსური მონაწილეობისა ან მარეგულირებელი წესების საფუძველზე.

(b) ერთობლივი საწარმოს შემადგენელი რომელიმე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვებზე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ერთობლივი საწარმო დაფუძნდა სულ მცირე სამი წლის განმავლობაში შესაბამისი საქმიანობის განსახორციელებლად და მისი დაფუძნების ინსტრუმენტი ადგენს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები, რომლებიც ჰქმნიან აღნიშნულ ერთობლივ საწარმოს, წარმოადგენენ მის შემადგენელ ნაწილს სულ მცირე იმავე დადგენილი პერიოდის განმავლობაში.

5. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება ენერჯის წარმოებისათვის საჭირო წყლის, ენერჯისა ან საწვავის შესყიდვებზე.

6. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება იმ შემსყიდველი ორგანიზაციების შესყიდვებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ სასმელი წყლისა და ელექტროენერჯის საერთო სარგებლობის ქსელებისათვის მიმწოდებელ სახელმწიფო ორგანოებს, თუ ისინი თავად არიან აღნიშნული მომსახურების მწარმოებლები და არ მოიხმარენ მას წინამდებარე დამატების (a) და (b) ქვეპუნქტებით განსაზღვრული საქმიანობებისთვის, და თუ საერთო სარგებლობის ქსელისთვის აღნიშნული მომსახურების მიწოდება დამოკიდებულია ორგანოს მხოლოდ საკუთარ მოხმარებაზე და არ აღემატება მის მიერ წარმოებული სასმელი წყლისა და ელექტროენერჯის საერთო ოდენობის 30 %-ს, ბოლო სამი წლის, მათ შორის მიმდინარე წლის, საშუალო მაჩვენებლის გათვალისწინებით.

7. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება შესყიდვებზე, რომლებიც ხორციელდება მესამე პირზე გადაყიდვის ან გაქირავების მიზნით იმ პირობით, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია არ ფლობს შესაბამისი კონტრაქტის საგნის გაყიდვის ან გაქირავების სპეციალურ ან ექსკლუზიურ უფლებას და სხვა ორგანიზაციებს შეუძლიათ აღნიშნული საგნის გაყიდვა ან გაქირავება შემსყიდველ ორგანიზაციასთან თანაბარი პირობებით.

8. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება იმ შემსყიდველი ორგანიზაციების შესყიდვებზე, რომლებიც ახორციელებენ საავტობუსო მომსახურების მიწოდებას, თუ სხვა ორგანიზაციებს შეუძლიათ იმავე მომსახურების შეთავაზება ზოგადად ან კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში იმავე პირობებით.

9. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ მოიცავს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვებს, რომლებიც ხორციელდება ამ დამატებაში აღწერილი საქმიანობის მიზნებისთვის, თუ ეს საქმიანობა მიმდინარეობს სრული საბაზრო კონკურენციის პირობებში.

10. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება იმ შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ შესყიდვებზე, რომლებიც საქმიანობას ეწევიან შემდეგ სფეროებში:
- (a) წინამდებარე დამატებით გათვალისწინებული სასმელი წყლის წარმოება, ტრანსპორტირება და დისტრიბუცია; და
 - (b) წინამდებარე დამატებით გათვალისწინებული ელექტროენერჯის წარმოება, ტრანსპორტირება და დისტრიბუცია.

11. ერთობლივმა კომიტეტმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება მე-10 პუნქტში აღნიშნულ სფეროებში მოქმედი შემსყიდველი ორგანიზაციების ხელშეკრულებაში ჩართვის შესახებ, როგორც კი საქართველო უზრუნველყოფს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნების მიმწოდებელთა თანმიმდევრულ წვდომას ქართული კერძო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ შესაბამის შესყიდვის ოპერაციებთან აღნიშნულ სფეროებში.

c. ნორვეგია

1. შემსყიდველი ორგანიზაციები, რომელთა მიერ განხორციელებულ შესყიდვებზე ვრცელდება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის დირექტივა 2004/17 ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) შესახებ და რომლებიც წარმოადგენენ შემსყიდველ სახელმწიფო ორგანოებს (მაგალითად, ორგანოებს, რომელთაც ფარავს 1-ლი და მე-2 დამატებები) ან სახელმწიფო საწარმოებს¹¹, და რომლებიც განახორციელებენ ერთ-ერთ ან რამდენიმე ქემოთ მოცემულ საქმიანობას:

¹¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 31 მარტის დირექტივის 2004/17 შესაბამისად, რომელიც კოორდინირებას უწევს შესყიდვის პროცედურებს წყლის, ენერჯეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სფეროებში მოქმედ ორგანიზაციებში (და რომელიც ვრცელდება ევროპის ეკონომიკურ სივრცეზე (EEA) ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) ერთობლივი კომიტეტის 2006 წლის ივნისის გადაწყვეტილებით N 68/2006 ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) შესახებ შეთანხმების დანართში XVI (შესყიდვები) ცვლილებების შეტანის თაობაზე), სახელმწიფო საწარმო წარმოადგენს ნებისმიერ საწარმოს, რომელზეც შემსყიდველი სახელმწიფო ორგანოები, პირდაპირ ან ირიბად, ახდენენ დომინირებად გავლენას საკუთრების უფლების, ფინანსური მონაწილეობისა ან მარეგულირებელი წესების საფუძველზე.

საწარმოზე დომინირებადი გავლენა შემსყიდველი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ივარაუდება, თუ შემსყიდველი სახელმწიფო ორგანოები, პირდაპირ ან ირიბად:

- ფლობენ საწარმოს გამწვანებით გამოშვებული სააქციო კაპიტალის წილის უმრავლესობას; ან
- აკონტროლებენ საწარმოს მიერ გამოშვებული აქციებით უზრუნველყოფილ ხმათა უმრავლესობას; ან
- შეუძლიათ დანიშნონ საწარმოს ადმინისტრაციული, მმართველობითი ან სამეთვალყურეო ორგანოს წევრთა ნახევარზე მეტი.

- (a) იმ ფიქსირებული ქსელების მოწყობა და ექსპლუატაცია, რომლებიც განკუთვნილია მოსახლეობისთვის სასმელი წყლის წარმოების, ტრანსპორტირებისა და დისტრიბუციის, ან აღნიშნული ქსელების წყალმომარაგების მიზნებისათვის;
- (b) იმ ფიქსირებული ქსელების მოწყობა და ექსპლუატაცია, რომლებიც განკუთვნილია მოსახლეობისთვის ელექტროენერჯის წარმოების, ტრანსპორტირების და დისტრიბუციისათვის, ან ამ ქსელების ელექტროენერჯით მომარაგების მიზნისათვის;
- (c) აეროპორტისა და სხვა ტერმინალების მოწყობა საჰაერო გადამზიდავებისათვის;
- (d) საზღვაო ან შიდა პორტის და სხვა ტერმინალების მოწყობა საზღვაო ან შიდა სამდინარო გადამზიდავებისთვის;
- (e) იმ ფიქსირებული ქსელების¹² მოწყობა და ექსპლუატაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობისთვის მომსახურების მიწოდებას საქალაქო რკინიგზის, ავტომატიზებული მეტროპოლიტენითა და რკინიგზით, ტრამვით, ტროლეიბუსით, ავტობუსითა და საჰაერო-საბაგირო ხაზებით ტრანსპორტირების სფეროში.

2. სხვა ორგანიზაციების (კომუნალური მომსახურების მომწოდებელი კომპანიების) საორიენტაციო ნუსხა თანდართულია.

შენიშვნები დამატება 3-ზე

1. ზემოთ ხსენებული საქმიანობების მიზნებისათვის განხორციელებულ შესყიდვებზე არ ვრცელდება წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი, თუ საქმიანობა ხორციელდება ბაზარზე კონკურენციის პირობებში, სადაც დაშვება არ არის შეზღუდული.

2. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება ამ დამატებაში ჩამოთვლილი ორგანოების მიერ განხორციელებულ შემდეგი სახის შესყიდვებზე:

¹² რაც შეეხება სატრანსპორტო მომსახურებას, ჩაითვლება, რომ ქსელი ფუნქციონირებადია, თუ მომსახურების მიწოდება ხორციელდება ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი საექსპლუატაციო პირობების, მათ შორის სამარშრუტო მიმართულებების, ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და მომსახურების სიხშირის შესახებ პირობების შესაბამისად.

- (a) ენერჯის წარმოებისათვის საჭირო წყლის, ენერჯის ან საწვავის შესყიდვა;
- (b) ამ დამატებით განსაზღვრული საქმიანობებისგან განსხვავებული მიზნებისთვის განხორციელებული შესყიდვა ან შესყიდვა, რომელიც ხორციელდება აღნიშნული საქმიანობებისათვის ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) არაწევრ ქვეყანაში;
- (c) შესყიდვა, რომელიც ხორციელდება მესამე პირზე გადაყიდვის ან გაქირავების მიზნით იმ პირობით, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია არ ფლობს შესაბამისი კონტრაქტის საგნის გაყიდვის ან გაქირავების სპეციალურ ან ექსკლუზიურ უფლებას და სხვა ორგანიზაციებს შეუძლიათ ამ საგნის გაყიდვა ან გაქირავება შემსყიდველ ორგანიზაციასთან თანაბარი პირობებით.

3. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება:

- (a) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აფილირებული საწარმოსთვის განხორციელებულ შესყიდვებზე¹³; ან
- (b) ერთობლივი საწარმოს მიერ განხორციელებულ შესყიდვებზე, რომელიც უშუალოდ შექმნილია რამდენიმე შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ამ დამატების (a)-(e) ქვეპუნქტებში მითითებული საქმიანობების განსახორციელებლად, ერთ-ერთი აღნიშნული შემსყიდველი ორგანიზაციისათვის,

იმ შემთხვევაში, თუ აფილირებული საწარმოს ბოლო სამი წლის საშუალო ბრუნვის სულ მცირე 80 % წარმოშობილია მასთან აფილირებული საწარმოებისათვის შესაბამისი მომსახურებისა ან საქონლის მიწოდების შედეგად.

თუ აფილირებულ საწარმოს არ გააჩნია სამწლიანი ბრუნვა მისი დაარსების ან საქმიანობის დაწყების თარიღიდან გამომდინარე, საკმარისია, საწარმომ

72000000	საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული მომსახურებები: საკონსულტაციო, პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების, ინტერნეტის და კომპიუტერული უზრუნველყოფის მომსახურებები
72100000	აპარატურულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები
72200000	პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურებები
72300000	მონაცემთა მომსახურება
72400000	ინტერნეტმომსახურებები
72500000	კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურებები
72600000	კომპიუტერული უზრუნველყოფა და საკონსულტაციო მომსახურებები
72700000	კომპიუტერული ქსელის მომსახურება
72800000	კომპიუტერის შემოწმება და ტესტირება
72900000	კომპიუტერის მონაცემების სარეზერვო დუბლირება და კატალოგების კონვერტირება
73000000	კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული მომსახურებები და მასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები
73100000	მომსახურებები კვლევისა და ექსპერიმენტული განვითარების სფეროში
73200000	კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები
73300000	კვლევისა და განვითარების დაპროექტება და განხორციელება
73400000	კვლევისა და განვითარების მომსახურება უსაფრთხოებისა და დაცვის (თავდაცვის) მასალებთან დაკავშირებით
75000000	ადმინისტრაციული მომსახურებები, დაცვასა და სოციალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები
75100000	ადმინისტრაციული მომსახურება

CPV კოდი	განმარტება
75200000	საზოგადოებისათვის მომსახურებების გაწევა
75300000	სავალდებულო სოციალურ დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურებები
76000000	ნავთობისა და გაზის ინდუსტრიასთან დაკავშირებული მომსახურებები
76100000	პროფესიონალური მომსახურებები გაზის მრეწველობისათვის
76200000	პროფესიონალური მომსახურებები ნავთობმრეწველობისათვის
76300000	ბურღვასთან დაკავშირებული მომსახურებები
76400000	ჭაბურღილის კომპურის განთავსებასთან დაკავშირებული მომსახურებები
76500000	მომსახურებები ხმელეთზე და შელფზე
76600000	მილსადენების დათვალიერება/ინსპექტირება
77000000	სოფლის მეურნეობასთან, სატყეო მეურნეობასთან, მეხალჩეობასთან, აკვაკულტურასთან და მეფუტკრეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
77100000	სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
77200000	სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
77300000	მეხალჩეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
77400000	ზოოლოგიური მომსახურებები
77500000	მეცხოველეობასთან დაკავშირებული მომსახურებები
77600000	ნადირობასთან დაკავშირებული მომსახურებები
77700000	თევზის რეწვასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურებები
77800000	აკვაკულტურასთან დაკავშირებული მომსახურებები
77900000	მეფუტკრეობასთან დაკავშირებული მომსახურებები

CPV კოდი	განმარტება
79000000	ბიზნესთან დაკავშირებული მომსახურებები: კანონმდებლობა, მარკეტინგი, კონსულტაცია, პერსონალის დაქირავება, ბეჭდვა და უსაფრთხოება
79100000	იურიდიული მომსახურებები
79200000	საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები
79300000	ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა; გამოკითხვები და სტატისტიკა
79400000	ბიზნესსა და მენეჯმენტთან დაკავშირებული კონსულტაციები და მომსახურებები
79500000	ოფისის მუშაობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებები
79600000	პერსონალის დაქირავებასთან დაკავშირებული მომსახურებები
79700000	გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები
79800000	ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
79900000	სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
80000000	საგანმანათლებლო და სატრენინგო მომსახურებები
80100000	მომსახურებები დაწყებითი განათლების სფეროში
80200000	მომსახურებები საშუალო განათლების სფეროში
80300000	მომსახურებები უმაღლესი განათლების სფეროში
80400000	ზრდასრულების სწავლება და სხვა საგანმანათლებლო მომსახურებები
80500000	სატრენინგო მომსახურებები
80600000	პროფესიული მომზადება უსაფრთხოებისა და თავდაცვის მასალების სფეროში
85000000	ჯანდაცვასა და სოციალურ სამუშაოებთან დაკავშირებული მომსახურებები

CPV კოდი	განმარტება
85100000	ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები
85200000	ვეტერინარული მომსახურებები
85300000	სოციალური დახმარების სამსახური და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
90000000	ჩამდინარე წყლებთან, ნარჩენებთან, დასუფთავებასთან და გარემოსთან დაკავშირებული მომსახურებები
90400000	ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული მომსახურებები
90500000	ნარჩენებსა და ნაგავთან დაკავშირებული მომსახურებები
90600000	ქალაქის ან სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება, ასევე მათთან დაკავშირებული მომსახურებები
90700000	მომსახურებები ეკოლოგიის სფეროში
90900000	დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება
92000000	გასართობი, კულტურული და სპორტული მომსახურებები
92100000	კინო- და ვიდეო მომსახურებები
92200000	სატელევიზიო და რადიო მომსახურებები
92300000	გასართობი მომსახურებები
92400000	ახალი ამბების სააგენტოების მომსახურებები
92500000	ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმებისა და სხვა კულტურული დაწესებულებების მომსახურებები
92600000	სპორტული მომსახურებები
92700000	ინტერნეტ-კაფეების მომსახურება
98000000	სხვა საზოგადოებრივი, სოციალური და პერსონალური მომსახურებები
98100000	საწევრო ორგანიზაციების მომსახურებები

CPV კოდი	განმარტება
98200000	თანაბარ შესაძლებლობებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება
98300000	სხვადასხვა მომსახურება
98500000	კერძო მეურნეობები დაქირავებული პირებით
98900000	ექსტრატერიტორიული ორგანიზაციებისა და ორგანოების მიერ გაწეული მომსახურებები

ნაწილი B: ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნები

a. ისლანდია

წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი ფარავს შემდეგ მომსახურებებს, რომლებიც განსაზღვრულია გაეროს პროდუქტების ცენტრალური კლასიფიკაციის (CPC) შესაბამისად და რომლებსაც შეიცავს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების დოკუმენტი (MTN.GNS/W/120), ამ დამატების შენიშვნებში (შენიშვნები 1) დაკონკრეტებული გამონაკლისების გარდა:

<i>შესყიდვის საგანი</i>	<i>CPC კოდის საიდენტიფიკაციო ნომერი</i>
მოვლა და რემონტი	6112, 6122, 633, 886
საგზაო ტრანსპორტის მომსახურება, მათ შორის ჯავშანმანქანების და საკურიერო მომსახურება, ფოსტის ტრანსპორტირების გარდა	712 (გარდა 71235), 7512, 87304
საჰაერო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის მომსახურებები, ფოსტის ტრანსპორტირების გარდა	73 (გარდა 7321)

ფოსტის ტრანსპორტირება საგზაო ტრანსპორტით, სარკინიგზო ტრანსპორტის გარდა, და საჰაერო ტრანსპორტით	71235, 7321
სატელეკომუნიკაციო მომსახურება	752
ფინანსური მომსახურება (a) სადაზღვევო მომსახურება (b) საბანკო და საინვესტიციო მომსახურება (შენიშვნები 2)	ex. 81. 812 და 814
კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურება	84
ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტორული და ბუღალტრული მომსახურება	862
ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურებები	864
მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება და მენეჯმენტის კონსულტაციასთან დაკავშირებული მომსახურება	865, 866***
არქიტექტურული მომსახურება; საინჟინრო მომსახურება და ინტეგრირებული საინჟინრო მომსახურება, ურბანული დაგეგმარებისა და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურება; შესაბამისი სამეცნიერო და ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურება; ტექნიკური ტესტირებისა და ანალიზის მომსახურება	867
სარეკლამო მომსახურება	871

შენიშვნების გაწმენდის მომსახურება და მომსახურება უძრავი ქონების მართვის სფეროში	874, 82201 - 82206
ბეჭდვასა და გამოცემასთან დაკავშირებული მომსახურება ანაზღაურების სანაცვლოდ ან ხელშეკრულების საფუძველზე	88442
ნარჩენი წყლების და ნარჩენებისაგან გასუფთავების მომსახურება; სანიტარული და მსგავსი მომსახურება	94

დამატება 5-ის შენიშვნები

1. გარდა იმ მომსახურებისა, რომლის შესყიდვას შემსყიდველი ორგანიზაციები ახორციელებენ სხვა ორგანიზაციისაგან მოქმედი კანონით, რეგულაციითა ან ადმინისტრაციული დებულებით მინიჭებული ექსკლუზიური უფლების შესაბამისად.
2. ფინანსური მომსახურების შესახებ დადებული ხელშეკრულებების გარდა, რომელიც უკავშირდება ფასიანი ქაღალდების ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოცემას, გაყიდვას, შესყიდვას ან გადაცემას, ასევე ცენტრალური ბანკის მიერ გაწეული მომსახურების გარდა.
3. საარბიტრაჟო და დავების მოგვარების მომსახურების გარდა.

b. ლიხტენშტაინი

წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი ფარავს ყველა შემდეგ მომსახურებას, რომელიც განსაზღვრულია გაეროს პროდუქტების ცენტრალური კლასიფიკაციის (CPC) შესაბამისად და რომლებსაც შეიცავს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების დოკუმენტი (MTN.GNS/W/120).

შესყიდვის საგანი	CPC კოდის საიდენტიფიკაციო ნომერი
------------------	----------------------------------

მოვლა და რემონტი	6112, 6122, 633, 886
საგზაო ტრანსპორტის მომსახურება, მათ შორის ჯავშანმანქანების და საკურიერო მომსახურება, ფოსტის ტრანსპორტირების გარდა	712 (გარდა 71235), 7512, 87304
საჰაერო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის და ტვირთის გადაზიდვის მომსახურებები, ფოსტის ტრანსპორტირების გარდა	73 (გარდა 7321)
ფოსტის ტრანსპორტირება საგზაო ტრანსპორტით, სარკინიგზო ტრანსპორტის გარდა, და საჰაერო ტრანსპორტით	71235, 7321
სატელეკომუნიკაციო მომსახურებები	752
ფინანსური მომსახურება (a) სადაზღვევო მომსახურება (b) საბანკო და საინვესტიციო მომსახურება ²²	ex. 81. 812 და 814
კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურება	84
ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტორული და ბუღალტრული მომსახურება	862
ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურებები	864
მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება და მენეჯმენტის კონსულტაციასთან დაკავშირებული მომსახურება	865, 866 ²³

²² ფინანსური მომსახურების შესახებ დადებული ხელშეკრულებების გარდა, რომელიც უკავშირდება ფასიანი ქაღალდების ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოცემას, გაყიდვას, შესყიდვას ან გადაცემას, ასევე ცენტრალური ბანკის მიერ გაწეული მომსახურების გარდა.

²³ საარბიტრაჟო და დავების მოგვარების მომსახურების გარდა

არქიტექტურული მომსახურება; საინჟინრო მომსახურება და ინტეგრირებული საინჟინრო მომსახურება, ურბანული დაგეგმარებისა და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურება; შესაბამისი სამეცნიერო და ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურება; ტექნიკური ტესტირებისა და ანალიზის მომსახურება	867
სარეკლამო მომსახურება	871
შენობების გაწმენდის მომსახურება და მომსახურება უძრავი ქონების მართვის სფეროში	874, 82201 - 82206
ბეჭდვასა და გამოცემასთან დაკავშირებული მომსახურება ანაზღაურების სანაცვლოდ ან ხელშეკრულების საფუძველზე	88442
ნარჩენი წყლების და ნარჩენებისაგან გასუფთავების მომსახურება; სანიტარული და მსგავსი მომსახურება	94

დამატება 5-ის შენიშვნები

წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული მომსახურებები არ მოიცავს იმ მომსახურებას, რომლის შესყიდვას შემსყიდველი ორგანიზაციები ახორციელებენ სხვა ორგანიზაციისაგან მოქმედი კანონით, რეგულაციითა ან ადმინისტრაციული დებულებით მინიჭებული ექსკლუზიური უფლების შესაბამისად.

c. ნორვეგია

წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი ფარავს ყველა მომსახურებას, რომელიც განსაზღვრულია გაეროს პროდუქტების ცენტრალური

კლასიფიკაციის (CPC) შესაბამისად და რომლებსაც შეიცავს მოქმედი საავტორო ორგანიზაციის მრავალმხრივი საავტორო მოლაპარაკებების დოკუმენტი (MTN.GNS/W/120), ამ დამატების მიმართ შენიშვნებში დაკონკრეტებული გამონაკლისების გარდა:

<i>შესყიდვის საგანი</i>	<i>CPC კოდების საიდენტიფიკაციო ნომერი</i>
მოვლა და რემონტი	6112, 6122, 633, 886
საგზაო ტრანსპორტის მომსახურება, მათ შორის ჯავშანმანქანების და საკურიერო მომსახურება, ფოსტის ტრანსპორტირების გარდა	712 (გარდა 71235), 7512, 87304
საჰაერო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის და ტვირთის გადაზიდვის მომსახურებები, ფოსტის ტრანსპორტირების გარდა	73 (გარდა 7321)
ფოსტის ტრანსპორტირება საგზაო ტრანსპორტით, სარკინიგზო ტრანსპორტის გარდა, და საჰაერო ტრანსპორტით	71235, 7321
სატელეკომუნიკაციო მომსახურებები	752
ფინანსური მომსახურება (a) სადაზღვევო მომსახურება (b) საბანკო და საინვესტიციო მომსახურება	Ex 81, 812, 814
კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურება	84
ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტორული და ბუღალტრული მომსახურება	862
ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურებები	864
მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება და მენეჯმენტის კონსულტაციასთან დაკავშირებული მომსახურება	865, 866

არქიტექტურული მომსახურება; საინჟინრო მომსახურება და ინტეგრირებული საინჟინრო მომსახურება, ურბანული დაგეგმარებისა და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურება; შესაბამისი სამეცნიერო და ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურება; ტექნიკური ტესტირებისა და ანალიზის მომსახურება	867
სარეკლამო მომსახურება	871
შენობების გაწმენდის მომსახურება და მომსახურება უძრავი ქონების მართვის სფეროში	874, 822
ბეჭდვასა და გამოცემასთან დაკავშირებული მომსახურება ანაზღაურების სანაცვლოდ ან ხელშეკრულების საფუძველზე	88442
ნარჩენი წყლების და ნარჩენებისაგან გასუფთავების მომსახურება; სანიტარული და მსგავსი მომსახურება	94

დამატება 5-ის შენიშვნები

1. ზემოთ აღნიშნული ფინანსური მომსახურებების ნუსხით განსაზღვრული საბანკო და საინვესტიციო მომსახურებები არ მოიცავს ფინანსურ მომსახურებებს, რომლებიც უკავშირდება ფასიანი ქაღალდების ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოცემას, გაყიდვას, შესყიდვას ან გადაცემას, ასევე ცენტრალური ბანკის მომსახურებებს.
2. ზემოთ აღნიშნული ნუსხით განსაზღვრული მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება არ მოიცავს საარბიტრაჟო და დავების მოგვარების მომსახურებებს.
3. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული მომსახურებები არ მოიცავს იმ მომსახურებას, რომლის შესყიდვას შემსყიდველი ორგანიზაციები ახორციელებენ სხვა ორგანიზაციისაგან მოქმედი კანონით, რეგულაციითა ან ადმინისტრაციული დებულებით მინიჭებული ექსკლუზიური უფლების შესაბამისად.

d. შვეიცარია

წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი ვრცელდება ყველა ქვემოთ აღნიშნულ მომსახურებაზე, რომლის შესყიდვა ხორციელდება 1-ლი, მე-2 და მე-3 დამატებებში ჩამოთვლილი ორგანოების მიერ.

<i>შესყიდვის საგანი</i>	<i>CPC კოდის საიდენტიფიკაციო ნომერი</i>
მოვლა და რემონტი	6112, 6122, 633, 886
საგზაო ტრანსპორტის მომსახურება, მათ შორის ჯავშანმანქანების და საკურიერო მომსახურება, ფოსტის ტრანსპორტირების გარდა	712 (გარდა 71235), 7512, 87304
საჰაერო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის და ტვირთის გადაზიდვის მომსახურებები, ფოსტის ტრანსპორტირების გარდა	73 (გარდა 7321)
ფოსტის ტრანსპორტირება საგზაო ტრანსპორტით, სარკინიგზო ტრანსპორტის გარდა, და საჰაერო ტრანსპორტით	71235, 7321
სატელეკომუნიკაციო მომსახურებები ფინანსური მომსახურება (a) სადაზღვევო მომსახურება (b) საბანკო და საინვესტიციო მომსახურება	752 ²⁴ (გარდა 7524, 7525, 7526) ex. 81, 812 და 814
კომპიუტერული და მასთან დაკავშირებული მომსახურება	84
ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტორული და ბუღალტრული მომსახურება	862
ბაზრის კვლევისა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მომსახურებები	864

²⁴ სატელეფონო, სატელექსო, რადიოსატელეფონო, პეიჯერული და სატელევიზიური მომსახურების გარდა.

მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება და მენეჯმენტის კონსულტაციასთან დაკავშირებული მომსახურება	865, 866 ²⁵
არქიტექტურული მომსახურება; საინჟინრო მომსახურება და ინტეგრირებული საინჟინრო მომსახურება, ურბანული დაგეგმარებისა და ლანდშაფტის არქიტექტურული მომსახურება; შესაბამისი სამეცნიერო და ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურება; ტექნიკური ტესტირებისა და ანალიზის მომსახურება	867
სარეკლამო მომსახურება	871
შენობების გაწმენდის მომსახურება და მომსახურება უძრავი ქონების მართვის სფეროში	874, 82201 - 82206
ბეჭდვასა და გამოცემასთან დაკავშირებული მომსახურება ანაზღაურების სანაცვლოდ ან ხელშეკრულების საფუძველზე	88442
ნარჩენი წყლების და ნარჩენებისაგან გასუფთავების მომსახურება; სანიტარული და მსგავსი მომსახურება	94

დამატება 5-ის შენიშვნები

1. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება:
 - (ა) მომსახურების გაწევის შესახებ 1-ლი, მე-2 და მე-3 დამატებებით განსაზღვრულ შემსყიდველ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, იმ ექსკლუზიური უფლების საფუძველზე,

²⁵ საარბიტრაჟო და დავების მოგვარების მომსახურების გარდა

რომელიც აღნიშნულ ორგანიზაციებს მინიჭებული აქვთ მოქმედი კანონით, რეგულაციითა ან ადმინისტრაციული დებულებით.

- (b) მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებებზე, რომლებსაც შემსყიდველი ორგანიზაცია აფორმებს აფილირებულ საწარმოსთან ან იმ ერთობლივი საწარმოს მიერ დადებულ ხელშეკრულებებზე, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე შემსყიდველი ორგანიზაცია მე-3 დამატებით განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებად, ასევე ხელშეკრულებებზე, რომლებიც ფორმდება ერთ-ერთ აღნიშნულ შემსყიდველ ორგანიზაციასთან აფილირებული საწარმოს მიერ. აღნიშნული საწარმოს ბოლო სამი წლის საშუალო ბრუნვის სულ მცირე 80% წარმოშობილი უნდა იყოს მასთან აფილირებული საწარმოებისთვის შესაბამისი მომსახურებების მიწოდების შედეგად. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთზე მეტი საწარმოა აფილირებული იმავე მომსახურების მიმწოდებელ შემსყიდველ ორგანიზაციასთან, უნდა მოხდეს აღნიშნული საწარმოების მიერ მომსახურებების მიწოდების შედეგად წარმოშობილი ჯამური ბრუნვის გათვალისწინება;
- (c) ხელშეკრულებები, რომლებიც ფორმდება მაუწყებელთან საპროგრამო მასალის შექმნაზე, შექმნაზე, წარმოებასა და თანაწარმოებაზე, ასევე საეთერო დროის შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებებზე;
- (d) შრომით ხელშეკრულებებზე და
- (e) სამეცნიერო-კვლევითი მომსახურების გაწევის შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ორგანოსათვის სარგებლის დარიცხვა ხდება მხოლოდ საკუთარი საქმიანობის განხორციელების მიზნისათვის, იმ პირობით, რომ აღნიშნული ორგანო სრულად აანაზღაურებს მომსახურებას.

2. ზემოთ აღნიშნული ფინანსური მომსახურებების ნუსხით განსაზღვრული საბანკო და საინვესტიციო მომსახურებები არ მოიცავს ფინანსურ მომსახურებებს, რომლებიც უკავშირდება ფასიანი ქაღალდების ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოცემას, გაყიდვას, შესყიდვას ან გადაცემას, სახელდობრ, შემსყიდველი სახელმწიფო ორგანოების მიერ თანხების ან კაპიტალის მოზიდვის მიზნით დადებულ გარიგებებს, ასევე ცენტრალური ბანკის მომსახურებებს.

XVI დანართი, მე-6 დამატება

სამშენებლო მომსახურება

ნაწილი A: საქართველო

ამ შეთანხმების მე-8 თავი ვრცელდება შემდეგი CPV კოდებით,²⁶ მათ შორის ძირითადი CPV კოდების ქვედანაყოფებით, გათვალისწინებულ სამშენებლო მომსახურებაზე:

CPV კოდი	განმარტება
45000000	სამშენებლო სამუშაოები
45100000	სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები
45200000	მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
45300000	სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები
45400000	შენობის დასრულების სამუშაოები

²⁶

ევროკომისიის (EC) N 213/2008 რეგულაციის შესაბამისად

ნაწილი B: ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნები

a. ისლანდია

CPC კოდები, 51-ე დანაყოფის ნუსხა:

51-ე დანაყოფით გათვალისწინებული ყველა მომსახურება.

b. ლიხტენშტაინი

CPC კოდები, 51-ე დანაყოფის ნუსხა:

სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	511
შენობებთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები	512
სამოქალაქო ინჟინერიასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები	513
მონტაჟისა და აწყობის სამუშაოები	514
სპეციალური სამშენებლო სამუშაოები	515
სამონტაჟო სამუშაოები	516
შენობების მოპირკეთებისა და დასრულების სამუშაოები	517
სხვა	518

c. ნორვეგია

CPC კოდები, 51-ე დანაყოფის ნუსხა:

51-ე დანაყოფით გათვალისწინებული ყველა მომსახურება.

d. შვეიცარია

CPC კოდები, 51-ე დანაყოფის ნუსხა:

სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	511
შენობებთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები	512
სამოქალაქო ინჟინერიასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები	513
მონტაჟისა და აწყობის სამუშაოები	514
სპეციალური სამშენებლო სამუშაოები	515
სამონტაჟო სამუშაოები	516
შენობების მოპირკეთებისა და დასრულების სამუშაოები	517
სხვა	518

XVI დანართი, მე-7 დამატება

გამოქვეყნების საშუალებები

ნაწილი A: საქართველო

საქართველო

კანონმდებლობა: <http://matsne.gov.ge/>

იურისპრუდენცია: <http://matsne.gov.ge/>

განცხადებები შესყიდვების შესახებ: <https://tenders.procurement.gov.ge/>

ნაწილი B: ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნები

ისლანდია

კანონმდებლობა: *Stjórnartíðindi* (მთავრობის ოფიციალური გაზეთი)

იურისპრიდენცია: *Hæstaréttardómar* (უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები)

განცხადებები შესყიდვების შესახებ:

1. სახელმწიფო სავაჭრო ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდი (*Ríkiskaup*): www.rikiskaup.is/english/

2. ისლანდიის მიერ ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) ფარგლებში გამოცხადებული კონტრაქტების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ინგლისურ ენაზე ევროპის კავშირის სახელმწიფო შესყიდვების საინფორმაციო სისტემის (SIMAP) მეშვეობით Tenders Electronic Daily-ის ვებ-გვერდზე: <http://ted.europa.eu>

ევროპის კავშირის ოფიციალური ჟურნალი: http://europa.eu.int/eur-lex/en/search/search_oj.html

ლიხტენშტაინი

კანონმდებლობა: *Landesgesetzblatt* (ლიხტენშტაინის საკანონმდებლო უწყებანი)

იურისპრიდენცია: *Liechtensteinische Entscheidsammlung*

განცხადებები შესყიდვების შესახებ:

1. ელექტრონული გაზეთი: www.amtsblatt.llv.li; გაზეთები "Liechtensteiner Volksblatt" და "Liechtensteiner Vaterland"

2. ლიხტენშტაინის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმებისა (GPA) და ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) ფარგლებში გამოცხადებული კონტრაქტების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ინგლისურ ენაზე Tenders Electronic Daily-ის ვებ-გვერდზე: <http://ted.europa.eu>

ნორვეგია

კანონმდებლობა და იურისპრიდენცია: *Norsk Lovtidend* (ნორვეგიის საკანონმდებლო უწყებანი) www.lovdato.no

განცხადებები შესყიდვების შესახებ:

1. Doffin – Database for offentlige innkjøp (სახელმწიფო შესყიდვების მონაცემთა ბაზა): <http://www.doffin.no/>
2. ნორვეგიის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმებისა (GPA) და ევროპის ეკონომიკური სივრცის (EEA) ფარგლებში გამოცხადებული კონტრაქტების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ინგლისურ ენაზე Tenders Electronic Daily-ის ვებ-გვერდზე: <http://ted.europe.eu>

შვეიცარია

კანონმდებლობა: ფედერალური კანონების კრებული, კანტონების კანონების კრებულები (26). ასევე იხილეთ: www.simap.ch

იურისპრუდენცია: შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებების, კონფედერაციისა და თითოეული კანტონის (26) ადმინისტრაციული ორგანოების იურისპრუდენცია. ასევე იხილეთ: www.simap.ch

შემსყიდველი ორგანიზაციების სპეციალური ინსტრუქციების, როგორცაა ზოგადი კომერციული პირობები და სხვა, გამოქვეყნება ხდება შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე. ასევე იხილეთ: www.simap.ch

განცხადებები შესყიდვების შესახებ:

1. ორგანოები ცენტრალური ხელისუფლების დონეზე: შვეიცარიის სახელმწიფო შესყიდვების საინფორმაციო სისტემა: <https://www.simap.ch>
2. ორგანოები და კომუნალური მომსახურების მომწოდებელი კომპანიები ქვერეგიონულ დონეზე: შვეიცარიის სახელმწიფო შესყიდვების საინფორმაციო სისტემა (www.simap.ch) ან/და შვეიცარიის კანტონების (26) ოფიციალური გამოცემები

XVI დანართი, მე-8 დამატება

ვადები

ნაწილი A: საქართველო

დადგენილი მინიმალური ვადა

1. საქართველოში სახელმწიფო შესყიდვა ეფუძნება ერთიან ელექტრონულ პლატფორმას (tenders.procurement.gov.ge), რომელიც არეგულირებს ვადებს სხვადასხვა ტიპის შესყიდვის პროცედურებისათვის. ვადა ავტომატურად დგინდება სისტემის მიერკანონის შესაბამისად და მისი მექანიკურად შეცვლა შეუძლებელია. სხვადასხვა ტიპის პროცედურებისათვის მოქმედებს შემდეგი ვადები:

შესყიდვის ტიპი	ხანგრძლივობა (სატენდერო განცხადების განთავსება - სატენდერო შეთავაზებების წარდგენა)	შერჩევა/შეფასების პროცედურა	ხელშეკრულების მომზადების პერიოდი	ხელშეკრულების დადება (რეზიდენტი პირის შემთხვევაში)	ხელშეკრულების დადება (არარეზიდენტი პირის შემთხვევაში)
ელექტრონული ტენდერი	არანაკლებ 20 დღისა (15+5)	არაუმეტეს 74 დღისა	3 დღე	არაუმეტეს 15 დღისა	არაუმეტეს 25 დღისა
კონკურსი	არანაკლებ 15 დღისა (10+5)	არაუმეტეს 38 დღისა	10 დღე	არაუმეტეს 5 დღისა	არაუმეტეს 5 დღისა
კონსოლიდირებული ტენდერი	კონსოლიდირებულ ი ტენდერის შემთხვევაში ზოგადი ვადები არ დგინდება. კონსოლიდირებულ ი ტენდერის ვადები დგინდება თითოეული ტენდერისათვის დამოუკიდებლად.	არაუმეტეს 30 დღისა	0 დღე	არაუმეტეს 15 დღისა	არაუმეტეს 15 დღისა

2. საქართველო ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე დანართის მე-8 დამატების ნაწილი B-ს შესაბამისად დადგენილი ვადების ამოქმედება არაუგვიანეს 2022 წლის სექტემბრისა.

ნაწილი B: ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნები

დადგენილი მინიმალური ვადა

1. შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელიც იყენებს დახურულ ტენდერს, ვალდებულია ტენდერში მონაწილეობის შესახებ განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა განსაზღვროს არანაკლებ 25 დღით შესყიდვების სპეციფიკური შეტყობინების გამოქვეყნების დღიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია გადაუდებელი ვითარების დასაბუთების საფუძველზე განსაზღვრავს, რომ დადგენილი ვადები არამიზანშეწონილია, აღნიშნული ვადები შეიძლება შემცირდეს არანაკლებ ათ დღემდე.
2. მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია დაადგინოს სატენდერო წინადადებების მიღების პერიოდი არანაკლებ 40 დღისა
 - (a) შესყიდვების სპეციფიკური შეტყობინების გამოქვეყნების დღიდან, ღია ტენდერის შემთხვევაში; ან
 - (b) ორგანოს მიერ მიმწოდებლებისათვის ტენდერზე მონაწილეობის მისაღებად მოწვევის გაგზავნის დღიდან, სელექტიური ტენდერის შემთხვევაში.

დადგენილი ვადის შემცირების შესაძლებლობები

3. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია შეამციროს მე-2 პუნქტის შესაბამისად დადგენილი სატენდერო წინადადების მიღების ვადა 5 დღით შემდეგი გარემოებების არსებობის შემთხვევაში:
 - (a) შესყიდვების სპეციფიკური შეტყობინება გამოქვეყნებულია ელექტრონული საშუალებებით;
 - (b) ყველა სატენდერო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ელექტრონული საშუალებების მეშვეობით შესყიდვების სპეციფიკური შეტყობინების გამოქვეყნების დღიდან; და
 - (c) ორგანო სატენდერო წინადადებებს იღებს ელექტრონული საშუალებების მეშვეობით.
4. შემდეგი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ორგანოებმა სატენდერო წინადადების წარდგენისათვის შეიძლება დაადგინონ მე-2

პუნქტში მოხსენიებულზე უფრო მოკლე ვადა, თუ აღნიშნული ვადა საკმარისია სატენდერო წინადადების მოსამზადებლად და წარსადგენად და არ არის ათ დღეზე ნაკლები სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების თარიღამდე.

- (a) იმ შემთხვევაში, როდესაც შესყიდვების ზოგადი შეტყობინების გამოქვეყნება მოხდა შესყიდვების სპეციფიკური შეტყობინების გამოქვეყნებამდე არანაკლებ 40 დღით და არაუმეტეს 12 თვით ადრე;
- (b) იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია ეტაპობრივად შესყიდვის ხელშეკრულების შემთხვევაში შესყიდვების პირველ სპეციფიკურ შეტყობინებაში მიუთითებს, რომ შემდგომ შეტყობინებებში განისაზღვრება სატენდერო წინადადებების მიღების ვადა ამ პუნქტის შესაბამისად;
- (c) იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია განახორციელებს კომერციული საქონლისა ან მომსახურების ან ორივეს შესყიდვას, მან შეიძლება შეამციროს მე-2 პუნქტით დადგენილი სატენდერო წინადადებების მიღების ვადა არანაკლებ 13 დღემდე, თუ შესყიდვების სპეციფიკური შეტყობინება და სატენდერო დოკუმენტაცია ერთდროულად გამოქვეყნდა ელექტრონული საშუალებებით. ამასთანავე, როდესაც ორგანიზაცია კომერციული საქონლისა და მომსახურების შესყიდვას ახორციელებს ელექტრონული საშუალებებით, მას შეუძლია მე-2 პუნქტით დადგენილი ვადების შემცირება არანაკლებ ათ დღემდე; და
- (d) იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია გადაუდებელი ვითარების დასაბუთების საფუძველზე განსაზღვრავს, რომ მე-2 პუნქტით დადგენილი ვადების დაცვა არამიზანშეწონილია.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც წინამდებარე დანართის მე-2 და მე-3 დამატებებით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაცია ახდენს ყველა ან შეზღუდული რაოდენობის მიმწოდებლის შერჩევას, სატენდერო წინადადებების მიღების ვადა შეიძლება შემცირდეს შემსყიდველი ორგანიზაციისა და შერჩეული მიმწოდებლების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ვადა განისაზღვრება არანაკლებ ათი დღით.

XVI დანართი, მე-9 დამატება

მონეტარული ზღვრები და მათი შეფასება

მონეტარული ზღვრები

1. მხარეები ვალდებული არიან დაიანგარიშონ და მოახდინონ მონეტარული ზღვრების კონვერტაცია თავიანთ ეროვნულ ვალუტაში შესაბამისი ეროვნული ბანკის მიერ სხვადასხვა ვალუტის მიმართ დადგენილი კონვერტაციის კურსის გამოყენებით. კონვერტაციის კურსი წარმოადგენს შესაბამისი ეროვნული ვალუტის საშუალო მაჩვენებელს სპეციალურ ერთეულთან (SDR) მიმართებაში ორი წლის განმავლობაში, მონეტარული ზღვრების ამოქმედების წლის წინა წლის 1 ოქტომბრამდე ან 1 ნოემბრამდე. კონვერტაციის კურსი უნდა ამოქმედდეს მომდევნო წლის 1 იანვრიდან.
2. თითოეული ახლად დაანგარიშებული მონეტარული ზღვრის ოდენობა უნდა გამოცხადდეს შესაბამის ვალუტაში საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნების მიერ აღნიშნული მონეტარული ზღვრების ძალაში შესვლამდე.

შეფასება

3. შესყიდვის ღირებულების შეფასებისას აღნიშნული შესყიდვის დანართთან შესაბამისობის დადგენის მიზნით,
 - (a) დაუშვებელია შემსყიდველმა ორგანიზაციამ მოახდინოს შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა ცალკეულ შესყიდვებად ან შესყიდვის ღირებულების დასადგენად გამოიყენოს კონკრეტული მეთოდი იმ მონეტარული ზღვრების თავის მთლიანად ან ნაწილობრივ არიდების მიზნით, რომლებიც დადგენილია წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავის შესაბამისად;
 - (b) შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს შესყიდვის მაქსიმალური ჯამური ღირებულების განსაზღვრა მთლიანი პერიოდისათვის, შრომითი ანაზღაურების ნებისმიერი ფორმის, მათ შორის პრემიების, გადასახადების, საკომისიოების, დარიცხული პროცენტების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, როდესაც შესყიდვა ითვალისწინებს ოპციონის დათქმის შესაძლებლობას, უნდა მოხდეს ამ ოფციონის ჯამური ღირებულების განსაზღვრა.

- (c) იმ შემთხვევაში, როდესაც შესყიდვა ხორციელდება ეტაპობრივად (შემდგომში "ეტაპობრივად შესყიდვის ხელშეკრულება") და ხდება ხელშეკრულების გაფორმება ერთდროულად ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთ ან რამდენიმე მიმწოდებელთან, შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესყიდვის ჯამური მაქსიმალური ღირებულება უნდა დაიანგარიშოს 12-თვიანი პერიოდის გათვალისწინებით; და
- (d) იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობის შესაბამისად შესაძლებელია ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით დადება და ჯამური ღირებულების მითითების ვალდებულება არ არსებობს, ამგვარი ხელშეკრულებების ღირებულება გამოითვლება ყოველთვიური გადასახდელის გამრავლებით 48-ზე.

XVI დანართი, მე-10 დამატება

შეტყობინებები, სატენდერო დოკუმენტაცია და მრავალჯერადი გამოყენების სია

განცხადებები

1. თუ წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავით და ამ დანართით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შესყიდვების სპეციფიკური შეტყობინება მუხლი 8.10-ის შესაბამისად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- (a) შემსყიდველი ორგანიზაციის სახელი და მისამართი და სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა აღნიშნულ ორგანიზაციასთან დასაკავშირებლად და შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტის მისაღებად, ასევე შესყიდვის ღირებულება და გადახდის პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- (b) შესყიდვის აღწერილობა, შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სახეობის ან რაოდენობის ან, თუ ზუსტი რაოდენობა უცნობია, სავარაუდო რაოდენობის ჩათვლით;
- (c) ეტაპობრივად შესყიდვის ხელშეკრულების შემთხვევაში შემდგომი შესყიდვების სპეციფიკური შეტყობინებების გამოქვეყნების ვადის დადგენა, სადაც ეს შესაძლებელია;

- (d) ოფციონების აღწერილობა;
- (e) საქონლისა და მომსახურებების მიწოდების ვადები ან ხელშეკრულების ხანგრძლივობა;
- (f) შესყიდვის მეთოდი, რომელიც გამოყენებული იქნება და მოიცავს თუ არა აღნიშნული მეთოდი მოლაპარაკებებს ან ელექტრონულ აუქციონს;
- (g) საჭიროების შემთხვევაში მისამართი და შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა;
- (h) მისამართი და სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა;
- (i) სატენდერო წინადადების ან ტენდერში მონაწილეობის შესახებ განაცხადის წარდგენის ენა ან ენები, თუ შესაძლებელია შემსყიდველი ორგანიზაციის ოფიციალური ენის გარდა სხვა ენაზე ამ დოკუმენტაციის წარდგენა.
- (j) მიმწოდებელთა მონაწილეობის პირობების ნუსხა და მათი მოკლე აღწერა, მათ შორის მიმწოდებელთა მიერ წარსადგენი დოკუმენტებისა და სერტიფიკატების მიმართ მოთხოვნები, თუ ეს მოთხოვნები არ შედის სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა ყველა დაინტერესებული მიმწოდებლისათვის შესყიდვების სპეციფიკური შეტყობინების გამოქვეყნებისთანავე; და
- (k) იმ შემთხვევაში, როდესაც წინამდებარე შეთანხმების მუხლი 8.12-ის შესაბამისად შემსყიდველი ორგანიზაციას განზრახული აქვს მიმწოდებელთა შეზღუდული რაოდენობის მიწვევა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, მათი შერჩევის კრიტერიუმები და ტენდერში მონაწილეობის მსურველ მიმწოდებელთა რაოდენობის მიმართ დაწესებული შეზღუდვები, სადაც შესაძლებელია.

2. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველ ორგანიზაციას განზრახული აქვს სელექტიური ტენდერის ჩატარება, აღნიშნული ორგანიზაცია ვალდებულია:

- (a) შესყიდვების სპეციფიკურ შეტყობინებაში მიუთითოს სულ მცირე 1-ლი პუნქტის (a), (b), (f), (g), (j) და (k) ქვეპუნქტებში მითითებული ინფორმაცია და მოიწვიოს მიმწოდებლები ტენდერში მონაწილეობის შესახებ განაცხადის გასაკეთებლად; და

- (b) ტენდერის ჩატარებამდე მიაწოდოს 1-ლი პუნქტის (c), (d), (e), (h) და (i) ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია შესაბამის მიმწოდებლებს, ამ დანართის მე-8 დამატების ნაწილის B მე-2 პუნქტის (b) ქვეპუნქტის შესაბამისად.

მრავალჯერადი გამოყენების სია

3. შეთანხმების მუხლი 8.13-ის შესაბამისად შეტყობინება უნდა შეიცავდეს:

- (a) იმ საქონლისა და მომსახურების ან მათი კატეგორიების აღწერილობას, რომელთა მიმართაც შეიძლება სიის გამოყენება;
- (b) ტენდერში მონაწილეობის მიღების პირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ მიმწოდებლები, რათა მოხდეს მათი შეტანა სიაში, და მეთოდებს, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია მოახდენს მიმწოდებლების მიერ აღნიშნული პირობების შესრულების შემოწმებას;
- (c) შემსყიდველი ორგანიზაციის სახელი და მისამართი და სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა აღნიშნულ ორგანიზაციასთან დასაკავშირებლად და სიასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტის მისაღებად; და
- (d) სიის მოქმედების ვადა და მისი განახლების ან შეწყვეტის საშუალებები; იმ შემთხვევაში როდესაც სიის მოქმედების ვადა არ არის განსაზღვრული, იმ მეთოდის მითითება, რომლითაც ხდება სიის გამოყენების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გაგზავნა.

სატენდერო დოკუმენტაცია

4. მუხლი 8.14-ის 1-ელ პუნქტში მოხსენიებული სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგი პუნქტების სრულ აღწერას:

- (a) შესყიდვების ობიექტი, მათ შორის შესასყიდი საქონლისა ან მომსახურების სახეობა და რაოდენობა, ან სავარაუდო რაოდენობა იმ შემთხვევაში, თუ ზუსტი რაოდენობა უცნობია, ასევე შესასრულებელი მოთხოვნები, მათ შორის ტექნიკური სპეციფიკაციები, შესაბამისობის დამადასტურებელი

სერტიფიკატები, გეგმები, ნახაზები და საინსტრუქციო მასალები;

- (b) მიმწოდებელთა მონაწილეობის პირობები, მათ შორის ინფორმაციისა და დოკუმენტების ნუსხა, რომელთა წარდგენა მოეთხოვებათ მიმწოდებლებს მონაწილეობის პირობების თანახმად;
- (c) შეფასების ყველა კრიტერიუმი, რომლებსაც შემსყიდველი ორგანიზაცია გამოიყენებს გამარჯვებულის გამოვლენის პროცესში, აღნიშნული კრიტერიუმების შედარებითი მნიშვნელოვნება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ფასი წარმოადგენს ერთადერთ კრიტერიუმს;
- (d) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის ელექტრონული საშუალებებით განხორციელების შემთხვევაში აუთენტიკაციასა და შიფრირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, ასევე სხვა მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება ინფორმაციის ელექტრონული საშუალებებით წარდგენას;
- (e) ელექტრონული აუქციონის ჩატარების შემთხვევაში აუქციონის ჩატარების წესები, მათ შორის ტენდერის იმ ელემენტების იდენტიფიკაცია, რომლებიც ეხება შეფასების კრიტერიუმებს;
- (f) ტენდერის დაწყების თარიღი ზუსტი დროისა და ადგილის მითითებით, თუ ტენდერი იხსნება საჯარო წესით და, სადაც მიზანშეწონილია, დასწრებაზე უფლებამოსილი პირები;
- (g) ყველა სხვა პირობა, მათ შორის გადახდის პირობები და შეზღუდვები სატენდერო წინადადების წარდგენის საშუალებებთან (მატერიალური ან ელექტრონული) დაკავშირებით; და
- (h) საქონლის ან მომსახურების მიწოდების თარიღები.

5. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო დოკუმენტაციის გასაჯაროება არ მოხდა წინამდებარე შეთანხმების მუხლი 8.10-ის 1-ელ პუნქტში მოხსენიებული შეტყობინების გამოქვეყნების დღიდან, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტების ხელმისაწვდომობა შერჩეული მიმწოდებლებისათვის წინამდებარე შეთანხმების მუხლი 8.12-ის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

XVI დანართი, მე-11 დამატება

დამატებითი შენიშვნები

ნაწილი A: ყველა მხარე

ამ დანართის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-11 დამატებებთან მიმართებაში იგულისხმება, რომ „საქმიანობა სასმელი წყლის სფეროში“ არ მოიცავს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ბოთლებში ჩამოსხმული სასმელი წყლის შესყიდვას.

ნაწილი B: საქართველო

1. წინამდებარე შეთანხმების მუხლი 8.1-ის მე-2 პუნქტის (d) ქვეპუნქტით განსაზღვრული „საჯარო სამსახურის ხელშეკრულებები“ საქართველოს შემთხვევაში ნიშნავს „საჯარო სამსახურისა და შრომით ხელშეკრულებებს“.

2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ თავში განსაზღვრული არცერთი დებულება არ შეიძლება გაგებულ იქნას როგორც საქართველოსადმი წაყენებული მოთხოვნა საკუთარ ეროვნულ კანონმდებლობაში ისეთი პროცედურების შემოღებასთან დაკავშირებით, როგორცაა: სელექტიური ტენდერის, კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეგისტრაციის სისტემა, მრავალჯერადი გამოყენების სია, მოლაპარაკების პროცედურა, ტენდერი ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი წინადადების მიხედვით ან სხვა არასავალდებულო პროცედურები.

3. წინამდებარე შეთანხმების მუხლი 8.3-ის 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის, „ეროვნული უსაფრთხოების“ ან „ეროვნული თავდაცვის მიზნების“ განსაზღვრება მოიცავს, სხვასთან ერთად, გამონაკლისებს სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.²⁷

4. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება ისეთ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომელზეც არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, კერძოდ:

²⁷ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებს დაქვემდებარებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ

(a) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე:

- (i) მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკის განხორციელების მიზნით;
- (ii) ქვეყნის ეკონომიკის ნაღდი ფულით უზრუნველყოფის მიზნით;
- (iii) აუდიტორული ფირმის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშგების გარე აუდიტის ჩატარების მიზნით;
- (iv) არამატერიალური აქტივების, ოქროს ზოდების, საკოლექციო ან/და სხვა საჭიროებისთვის განკუთვნილი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების, აგრეთვე, სხვა მიზნებისთვის განკუთვნილი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების, აგრეთვე, ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუცირებასთან დაკავშირებული შესყიდვების მიზნით,

(b) იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახსრებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლებიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ითვლებიან რელიგიურ ორგანიზაციებად;

(c) ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყალმომარაგების შესყიდვებზე;

(d) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებებისთვის, თავდაცვის ატაშესთვის, აგრეთვე, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

(e) სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლებიც უკავშირდება:

- (i) საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მინისტრის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, ქ. თბილისის მერის უცხოეთში ვიზიტებისა და შეხვედრების ორგანიზების უზრუნველყოფას;
- (ii) საქართველოს პარლამენტში უცხოური დელეგაციების მიღების ორგანიზების უზრუნველყოფას;

- (iii) საქართველოს საპარლამენტო დელეგაციების უცხოეთში ვიზიტების ორგანიზების უზრუნველყოფას;
- (iv) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში უცხოური დელეგაციების მიღების ორგანიზების უზრუნველყოფას;
- (v) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციის უცხოეთში ვიზიტებსა და შეხვედრებს;
- (vi) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებს.

(f) საბიუჯეტო კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებულ შტატგარეშე მომუშავეთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, აგრეთვე, მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე;

(g) საექსპერტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, თუ აღნიშნული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-147-ე მუხლების შესაბამისად;

(h) ვაუჩერის გამოყენებით განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შესაბამისი მომსახურების/საქონლის დაფინანსებაზე, აგრეთვე, ვაუჩერის განაღდებისა და განაღდებასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე;

(i) სოციალური რეკლამის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მათ შორის, ვებგვერდითა და სოციალური ქსელით, გავრცელებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე (გარდა ტელერადიოეთერის დროის შესყიდვასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვისა, რომელიც ხორციელდება ამ კანონის შესაბამისად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 66¹ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობებით);

(j) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლებიც უკავშირდება:

- (i) არარეზიდენტი პირისაგან ტელე/რადიო პროდუქციის (პროგრამის, გადაცემის, ფილმის, რეპორტაჟის, კულტურული ღონისძიების) ან/და მასთან დაკავშირებულ მომსახურების შესყიდვას;

(ii) აგრეთვე სატელიტური თანამგზავრის მეშვეობით ტელე/რადიო პროდუქციის (პროგრამის, გადაცემის, ფილმის, რეპორტაჟის, კულტურული ღონისძიების) გავრცელებასთან ან/და მის მიღებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვაზე;

(k) სუვერენული საკრედიტო სარეიტინგო მომსახურების და სახელმწიფო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურების შესყიდვებზე, აგრეთვე, აღნიშნული მომსახურების მიმწოდებლებისთვის საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურების თანმდევი ხარჯების ანაზღაურებაზე;

(l) ლატარიის ორგანიზატორის ან მისი ოფიციალური წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ისეთი მომსახურების შესყიდვაზე, რომელიც უკავშირდება:

- (i) ლატარიის ბილეთის შენახვას და რეალიზაციას,
- (ii) ლატარიის ორგანიზატორის სარეკლამო საქონლის უსასყიდლო გავრცელებას;

(m) ლატარიის ორგანიზატორის მიერ საწარმოში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის მართვის უფლების მქონე მომსახურების შესყიდვაზე;

(n) ლატარიის ორგანიზატორის მიერ ლატარიის ორგანიზებისათვის ან/და ჩატარებისათვის საჭირო ინფორმაციული და ტექნოლოგიური მხარდაჭერის სახელმწიფო შესყიდვაზე;

(o) შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ სავაჭრო ობიექტებიდან რეალიზაციის მიზნით შეძენილი საქონლის სახელმწიფო შესყიდვაზე;

(p) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

(q) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე; და

(r) „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის განსაკუთრებით საშიში პათოგენების აღმოჩენის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემისა და საქართველოს რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯებისა და პასუხისმგებლობების გადაცემის შესახებ“ შეთანხმების შესაბამისად ერთიანი ლაბორატორიული

სისტემისათვის განკუთვნილ იმ საქონლის სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლის ჩამონათვალიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ნაწილი C: ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი ქვეყნები

a. ისლანდია

1. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ მოიცავს:

(a) ხელშეკრულებებს, რომლებიც ფორმდება მაუწყებლების მიერ საპროგრამო მასალის შეძენის, შედგენის, წარმოების ან თანაწარმოების მიზნით, ასევე საეთერო დროსთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებებს; და

(b) იმ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, რომლებიც თავად წარმოადგენენ შემსყიდველ პირებს (*Lög um opinber innkaup (84/2007)*)-ის (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ აქტის კონტექსტში: იმ ექსკლუზიური უფლების საფუძველზე, რომლითაც იგი სარგებლობს მოქმედი კანონის, რეგულაციის და ადმინისტრაციული დებულების შესაბამისად.

2. წინამდებარე შეთანხმების მე-8 არ მოიცავს სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამების და ადამიანთა გამოკვების პროგრამების ფარგლებში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვას.

3. წინამდებარე შეთანხმება, თუ ეს ამ დანართის მე-3 დამატებით არ არის გათვალისწინებული, არ მოიცავს ამ დანართის 1-ლი და მე-2 დამატებებით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ შესყიდვას, რომელიც უკავშირდება სასმელი წყლის, ენერჯის, ტრანსპორტის სფეროებში და ტელეკომუნიკაციის და საფოსტო მომსახურების სექტორში განხორციელებულ საქმიანობას.

b. ლიხტენშტაინი

1. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ მოიცავს:
 - (a) სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამების და ადამიანთა გამოკვების პროგრამების ფარგლებში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვას; და
 - (b) შესყიდვას მაუწყებლის მიერ საპროგრამო მასალის შეძენის, შედგენის, წარმოებისა და თანაწარმოებისთვის; ასევე საეთერო დროსთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებებს.
2. მომსახურების მიწოდება, მათ შორის სამშენებლო მომსახურების მიწოდება, წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავით განსაზღვრული შესყიდვების პროცედურების კონტექსტში, ექვემდებარება ბაზარზე დაშვების პირობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და იმ ეროვნულ რეჟიმს, რომელიც მოითხოვება ლიხტენშტაინის საგრაფოს მიერ, მომსახურებით ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (GATS) ფარგლებში მის მიერ აღებული ვალდებულებების საფუძველზე.
3. წინამდებარე შეთანხმება, თუ ეს არ არის გათვალისწინებული მე-3 დამატებით, არ მოიცავს 1-ლი და მე-2 დამატებებით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ შესყიდვებს, რომელიც უკავშირდება სასმელი წყლის, ენერჯის და საფოსტო მომსახურების სექტორში განხორციელებულ საქმიანობას.
4. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ მოიცავს დაზღვეული პირების შენატანებს სადაზღვევო ფონდში ისეთი სახელმწიფო ორგანოების ან საწარმოების მიერ, როგორცაა საყოველთაო სახელმწიფო დაზღვევისა და საპენსიო ფონდები.

c. ნორვეგია

1. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ მოიცავს:

შესყიდვას მაუწყებლის მიერ საპროგრამო მასალის შეძენის, შედგენის, წარმოებისა და თანაწარმოებისთვის; ასევე საეთერო დროსთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებებს;

 - (b) სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამების და ადამიანთა გამოკვების პროგრამების ფარგლებში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვას.

2. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი, თუ ეს არ არის გათვალისწინებული მე-3 დამატებით, არ მოიცავს 1-ლი და მე-2 დამატებებით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ შესყიდვებს, რომელიც უკავშირდება სასმელი წყლის, ენერჯის, ტრანსპორტის, და საფოსტო მომსახურების სექტორში განხორციელებულ საქმიანობას.

3. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება სვალბარდის არქიპელაგზე.

d. შვეიცარია

1. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე, რომელიც ხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის შიგნით, ან საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე, რომელსაც იღებს ან იძენს შემსყიდველი ორგანიზაცია დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსის მქონე სხვა შემსყიდველი ორგანიზაციისგან (შიდა შესყიდვა).

2. მომსახურების მიწოდება, მათ შორის სამშენებლო მომსახურება, წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავით განსაზღვრული შესყიდვების პროცედურების კონტექსტში, ექვემდებარება ბაზარზე დაშვების პირობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ასევე იმ ეროვნულ რეჟიმს, რომელსაც მოითხოვს შვეიცარია მის მიერ მომსახურებით ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (GATS) ფარგლებში აღებული ვალდებულებების საფუძველზე.

3. წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება იმ საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე, რომელთა შეძენა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ან ექსკლუზიური უფლების მქონე ორგანიზაციებისგან, რომელთაც აღნიშნული უფლება მინიჭებული აქვთ მოქმედი საკანონმდებლო, მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული დებულებების საფუძველზე (მაგ: სასმელი წყლის, ენერჯის და ა.შ. შესყიდვისთვის).

4. წინამდებარე შეთანხმება არ ვრცელდება სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამების და ადამიანთა გამოკვების პროგრამების ფარგლებში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვაზე.

5. შვეიცარიისთვის ნათელია, რომ წინამდებარე შეთანხმების მე-8 თავი არ ვრცელდება დაზღვეული პირების შენატანებზე სადაზღვევო ფონდში ისეთი სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ, როგორცაა საყოველთაო სახელმწიფო დაზღვევისა და საპენსიო ფონდები.
